როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 5—43.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 227 ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 300,000 მან. № 227

დღიური

— გერმანიის პროლეტარიატისადმი [illegible] საქსონიის კომპარტია მოითხოვს საალყო წესების გაუქმებას და მუშურ-გლეხურ მთავრობის შექმნას.

— საბჭოთა ფედერაციის მშრომელი მასსა ფართო მონაწილეობას იღებს გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კვირეულის მოწყობაზე.

— ბულგარეთის რევოლიუცია ჩააქრო ვრანგელმა; მას მხარს უჭერდა სოციალ-დემოკრატიაც.

— იაპონელები განაგრძობენ კორეელთა დევნას.

ქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 5 ოქტომბერს,
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგში დასვან საკითხი
მდგომარეობა გერმანიაში
თეზისები იხილეთ გუშინდელ გაზეთში.
სამდივნო.

დახმარება გერმანიის პროლეტარიატს

ადგილობრივ პრესაში და მათ ორის ჩვენს გაზეთშიც რამოდენიმეჯერ გამოქვეყნებული იყო ოწოდება გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ზედმეტია იმის განმეორება, რომ გერმანიის მუშათა კლასი დღეს ბრძვის არა როგორც თავისი თავისუფლებისათვის შინაურ უცხოელ ექსპლოატატორ-მძალადეებისაგან, ისე მსოფლიო, კომუნისტური რევოლიუციის გამარჯვებისათვის. შედეგი ამ ბრძოლის უშუალოდ ეხება ერძოდ ჩვენი საბჭოთა კავშირის ბედს.

ამიტომ სრულებით ბუნებრივი და გასაგებია ის თანაგრძნობა, რომელსაც იჩენენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელნი ბრძოლაში ჩაბმულ გერმანიის პროლეტარიატისადმი.

ეს თანაგრძნობა არ უნდა იყოს მარტო მორალური ხასიათის; ჩვენმა მუშათა კლასმა გერმანიის პროლეტარიატს უნდა გაუწიოს აგრეთვე შესაძლებელი მატერიალური დახმარება.

ასეთი დახმარება კი მას ყველაზე უფრო ესაჭიროება.

ჩვენი მუშათა კლასიც ჯერჯერობით კიდევ არ არის სავსებით უზრუნველყოფილი; მას ბევრი რამ აკლია. მაგრამ წარმოუდგენელია ის უკიდურესი გაჭირვება, რომელსაც განიცდის გერმანიის პროლეტარიატი. აქ მშრომელ მასის გალატაკება საარაკოა. გერმანელი მუშა სიმშილში ღაფავს სულს. გერმანელ კვალიფიციურ მუშას ეძლევა კვირაში ნახევარი დოლარი მაშინ, როცა ამერიკელ მუშას 12 დოლარი დღეში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პოლიციური მთავრობა აწარმოებს რევოლიუციონური მუშების წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს; მრავალი მათგანი ციხეებშია ჩაყრილი, სადაც ისინი აუტანელ სიმშილს და სხვაგვარ გაჭირვებას განიცდიან. მათ ასე თუ ისე დაკმაყოფილებაზე აბა რაღა იზრუნებს შტრეზემანის კაბინეტი, რომლის წასამხობად ისინი ამდგარი არიან.

გარდა ამისა, დაწყებულ აჯანყებათა პროცესში მრავალი ფაბრიკა-ქარხანა იხურება, და მრეწველები ულუკმაპუროდ, ქუჩაში ჰყრიან მუშებს.

აგრეთვე ფაშისტებსა და მთავრობის პოლიციასთან შეტაკებების დროს მრავალ მსხვერპლს აქვს ადგილი მუშების მხრიდან. ბევრი მათგანი განგმირული ეცემა ბრძოლის ველზე, ბევრი დაჭრილ-დასახიჩრებული.

ასეთია სამოქალაქო ომის ულმობელობა.

ყველა ესენი ფართე მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. თვით გერმანიის პროლეტარიატი ქონებრივად, როგორც ვსთქვით, უკიდურესობამდე დაუძლურებულია და გაღატაკებული, მას არ შეუძლია გაჭირვებაში ჩავარდნილ თავის ძმებს საკმაო შემწეობა აღმოუჩინოს.

ვინ უნდა გაუწოდოს გერმანიის პროლეტარიატს ასეთ კრიტიკულ მომენტში მეგობრული დახმარების ხელი?

რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა საბჭოთა ქვეყნების მშრომელ მასამ, რომელსაც თავის ზურგზე გადაუტანია ყველა ასეთი საშინელებანი და რომელსაც ყველაზე უკეთ ესმის გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლის აზრი და მნიშვნელობა.

ამიტომაცაა, რომ ჩვენი მუშათა კლასი ღარიბ ჯიბიდან იღებს შესაძლებელ წვლილს, რათა შეუმსუბუქოს მძიმე ხვედრი გაჭირვებაში მყოფ გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

მატერიალური დახმარება გერმანიის მუშათა კლასისადმი უნდა მოეწყოს ფართე მასშტაბით. უნდა გავწიოთ ჩვენ მუშებში და გლეხებში სათანადო აგიტაცია, შევაგროვოთ შემოწირულებანი და მთელ ამ საქმეს მივცეთ ორგანიზაციული ხასიათი.

ეჭვი არ არის, რომ აქაც ჩვენი მუშათა კლასი გამოიჩენს საკმაო შეგნებას და პროლეტარულ სოლიდარობის გრძნობას და თავის წვლილს არ დაიშურებს ამ დიდი საქმისათვის.

ამას ექნება, გარდა მატერიალურისა, უდიდესი მორალური მნიშვნელობა. ეს უფრო განამტკიცებს კავშირს გერმანიის და საბჭოთა ქვეყნების პროლეტარიატს შორის, ეს გაამხნევებს გერმანიის მუშათა კლასს თავის რევოლიუციონურ ბრძოლაში.

მუშებისა და გლეხების სისხლში ამოსვრილი ბულგარეთის მენშევიზმი

ბულგარეთის რევოლიუციის ქრობაში*), რომელსაც მეთაურობდნენ კომუნისტები, თვალსაჩინო როლი შეასრულეს ბულგარეთის მენშევიკებმა.

ცანკოვის ფაშისტურ მთავრობასთან ერთად, რომელსაც ეხმარებოდა ვრანგელი რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ნაძირალებით, ბულგარეთის მენშევიკებმა ხელები გაითხუპნეს აჯანყებული მუშებისა და გლეხების სისხლში.

ვრანგელმა და მისმა ამალამ შესანიშნავათ ჩააქრო პირველი (ბალკანეთზე) [illegible] ევროპის ბურჟუაზიას და დაანახვა მას, რომ ის საიმედოა ასეთ შემთხვევაში, რომ ის შესძლებს მისი ბატონების დავალების „პირნათლად“ შესრულებას. ტყუილ უბრალოთ არ ეხმარებოდა მას ბულგარეთის ახალი მთავრობა, ტყუილ უბრალოთ არ ცდილა ეს უკანასკნელი შემოენახა თავის გვერდით ის თეთრი ოფიცრობა, რომელმაც დღეს ასეთი სამსახური გაუწია მას.

მაგრამ ხომ არც მენშევიკები ჩამორჩნენ ვრანგელს. მენშევიკური პარტია ბულგარეთის მონაწილეა ფაშისტური მთავრობის, სადაც მის წარმომადგენელს დათმობილი აქვს ერთი პორტფელი. თავისთავათ ცხადია, ეს მოღალატეთა და მუშათა კლასის ჯალათთა პარტია დაეხმარა გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ცანკოვის მთავრობას და მასთან ერთად გაილაშქრა აჯანყებული მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ბევრჯერ მიგვითითებია ჩვენ საერთაშორისო მენშევიზმის მოღალატურ ბუნებაზე, არა ერთხელ აღგვინიშნავს მაგალითები მისი რენეგატობის, მაგრამ განსაკუთრებული სახელწოდებით შევა დღევანდელი ამბავი ამ პარტიის ჯალათობის და მუშათა კლასისადმი მოღალატობის მდიდარ ისტორიაში.

ჩვენ ზოგიერთებს პარტიული ჯინიანობით შეპყრობილი ვგონივართ, როდესაც ვსწერთ და ვლაპარაკობთ, რომ ძლევა-მოსილი მუშათა რევოლიუციამ უნდა გადიაროს ყვითელი სოციალიზმის, მენშევიზმის ცხედარზე, რომ ეს პარტია უნდა მოკვდეს, რათა რევოლიუციამ იცოცხლოს, გაიმარჯვოს და შეიძლება არასოდეს დღემდე, (გარდა ჰუნგრეთის მაგალითისა) ისე თვალხილულათ, ისეთი სიცხადით არ წამოჭრილა მშრომელთა წინ ეს ჭეშმარიტება, როგორც მოხდა ბულგარეთის რევოლიუციის მაგალითზე.

ყოველივე მან, რაც მოიპოვება ცოცხალი და გულწრფელი შრომის არმიაში, უნდა ხელაღებით ერთხელ და სამუდამოთ ჩაჰკლოს ეს პარტია, ეს საშინელება და სირცხვილი, ეს საზიზღარი სენი თანამედროვე მუშათა მოძრაობის.

---

*) თუ მართალია ცნობები რევოლიუციის არცხების შესახებ.

ჩვენი პრესის გარშემო

(დისკუსიისათვის)

V*)

„სპეცების“ გამოყენება

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ პარტიისა და პრესის დამოკიდებულებას და შევნიშნეთ, რომ საჭიროა პარტიამ მეტი დახმარება გაუწიოს თავის პრესას, ვინემ ეს დღემდე იყო, რაც უნდა გამოიხატოს პარტიის ყველა ლიტერატურული ძალების ჩვენს პრესაში სისტემატიური თანამშრომლობის საკითხის მოგვარებაში.

მაგრამ რაც უნდა მაქსიმალურად გამოვიყენოთ პარტიული ამხანაგები პრესაში, მაინც, ჯერ-ჯერობით, მარტო საკუთარი ძალღონით საქმეს სათანადოდ ვერ წარვმართავთ.

ჩვენ სახელმწიფოებრივი პარტია ვართ. მთელი ქვეყნის ცხოვრების ძთავარი პუნქტები ჩვენ ხელთ უნდა იყოს. ჩვენ გვიხდება ამხანაგების დიდი რიცხვის დაბანდება, გარდა პარტიულ დაწესებულებებისა, საბჭოთა, სამეურნეო და მრავალ სხვა ორგანოებში. ამასთან ჩვენს პარტიას ჟურნალისტური ძალები საერთოდ ცოტა ჰყავს.

ყველაფერი ეს ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, როცა სპეციალურად პრესისათვის პარტია ვერ ახერხებს სათანადოდ მომზადებულ ამხანაგების საკმაო რიცხვის გამოყოფვას. არც გარეშე მყოფ ამხანაგების დროგამოშვებითი თანამშრომლობა უშველის სავსებით საქმეს.

ამიტომ აუცილებელი ხდება ე. წ. სპეცების გამოყენება ჩვენს პრესაში. საერთოდ სპეცების საკითხი ერთ დროს გაცხოველებული დისკუსიის საგანი იყო ჩვენს პარტიაში. და კარგა ხანია ყველასათვის უდავო გახდა ის აზრი, რომ უეჭველად საჭიროა პატიოსანი სპეცებით სარგებლობა, მათი ცოდნის და გამოცდილების ფართედ გამოყენება.

თავისთავად ცხადია, რომ ეს პირველ ყოვლისა და უმთავრესად ეხება სპეცების მონაწილეობას საბჭოთა და კერძოდ სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობაში.

ამ მხრივ ჩვენი პრესის მდგომარეობა განსაკუთრებულია. რედაქცია უაღრესად პარტიული დაწესებულებაა, გაზეთი ჩვენში პარტიული ორგანოა, ის მატარებელია კომუნისტური მსოფლმხედველობის, გამავრცელებელი და განმამტკიცებელია პარტიული გეზლენის. და რა თქმა უნდა ამ საქმის შესრულება მხოლოდ კომუნისტებს შეუძლიათ. წარმოებაში, მაგ., შესაძლებელია რომელიმე სპეცი იყოს მუშაობის ხელმძღვანელი, ხოლო პარტიული ამხანაგი მხოლოდ მეთვალყურე, კონტროლიორი, გაზეთში კი ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. მას უშუალოდ და ფაქტიურად თავიდან ბოლომდე უნდა ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არა ვართ დაზღვეული, რომ გაზეთში არ გაიპაროს რაიმე ისეთი, რაც მიუღებელია ჩვენი თვალსაზრისით. და ხშირად ეს მოხდება არა ბურჟუაზიული სპეცის ბოროტი განზრახვით, არამედ უნებლიედ, შეუცნობლად, მიტომ, რომ მას ორგანიულად არ აქვს შესისხლხორცებული კომუნისტური შემეცნება ამა თუ იმ საგანზე. ადგილობრივ პრესაში საამისო მაგალითიც იყო. ჩვენ თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, რომ გაზ. „გუდოკ“-ში ერთმა ბურჟუაზიულმა ლიტერატორმა პორნოგრაფიული „ნაწარმოები“ გააპარა.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის აზვირთებული სტიქია ილტვის ჩაგვითრიოს თავის მორევში. ბურჟუაზიულ ლიტერატორებს მოაქვთ ჩვენს პრესაში თავიანთი ლიტერატურულ-ესთეტიური გემოვნება და ტრადიციები. მათთვის გაზეთის ფურცლების ფართედ გადაშლა დიდი საფრთხე იქნებოდა ჩვენთვის.

„წმინდა“ ლიტერატურას რო თავი დავანებოთ, ავიღოთ წერილები ეკონომიურ, ისტორიულ და სხვა საზოგადოებრივ მოვლენების და საკითხების შესახებ. ასეთები ჩვენს პრესას ძალიან ესაჭიროება.

არიან „სპეცები“, რომელთაც ძალა შესწევთ ასეთ საკითხების გაშუქების, მაგრამ თავისებურად. ხშირად მათ წერილში, თუ ის „საჭირ-ბოროტო“ საკითხს ეხება, არ სჩანს საკმაო გაგება დღევანდელი სოციალ-ეკონომიური-პოლიტიკური ვითარების და მუშათა კლასის ამოცანების; თუ ის რამოდენიმე თეორიული ხასიათისაა, ტყუილ-უბრალოდ დაიწყებთ შიგ მატერიალისტურ-მარქსისტულ თვალსაზრისის ძებნას.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ართულებს ბურჟუაზიულ სპეცების თანამშრომლობის საკითხს ჩვენს პრესაში.

მაგრამ არიან ისეთი სამეცნიერო დარგები, რომელთა გაშუქების დროს მარქსისტული თვალსაზრისი მოსატანი არ არის. ასეთებია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგიერთი დარგები. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთ სამეცნიერო დისციპლინათა წარმომადგენლობის თანამშრომლობა ჩვენს პრესაში მოსახერხებელია. მაგ., ამას წინად იაპონიაში მოხდა საშინელი მიწისძვრა; რომელიმე გეოლოგს ამ მოვლენის და მასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ რო წერილი მოეწოდებია, გვგონია, გაზეთში სიამოვნებით დაუთმობდენ ადგილს. ასეთია სხვა მრავალი დარგებიც.

რაც შეეხება გაზეთის ტეხნიკურ თანამშრომლებს (მთარგმნელები, ქრონიკიორები და სხ.), ასეთებად პატიოსან უპარტიო მუშაკების დატოვება შესაძლებლად მიგვაჩნია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გაზეთი უნდა გაძლიერდეს მასაში მუდმივად მომუშავე პარტიული ძალებით; ამასთან მიღებულ იქნას ზომები „სპეცების“, მეცნიერების და მწერლების მოსაზიდად.

ეს კია, რომ მათი გამოყენების დროს რედაქციამ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება.

გ. ძ.

---

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 217, 219, 221, 223.

გაუგებრობა თუ შეცთომა?

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 224-ში დაიბეჭდა ამხ. რ. კალაძის წერილი პრესის შესახებ. წერილი იწყება ასე: „ჩვენი პრესა“ ჩვენ ორი მხრივ შეგვიძლია ვიგულისხმოთ: ერთი,—როგორც ადგილობრივი კომუნისტური პრესა განურჩევლათ იმ ენისა, რომელზედაც ის იწერება, ხოლო მეორე—მხოლოდ ენის მხრივ. ენა კი, **როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული მოვლენაა და არა კლასობრივი** (ხაზი ავტორისაა). ენა იმ დროსაა შექმნილი, როცა კლასების ჭაჭანებაც არ იყო. ამიტომ ეს ორი სხვადასხვა მომენტი—ეროვნული და კლასობრივი—პრესის საკითხის გარკვევის დროს კარგათ უნდა გავარჩიოთ ერთი მეორისაგან და ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, როგორც ამას გაზ. „კომუნისტი“-ს ფურცლებზე ამხ. ორაგველიძე სჩადის“.

რაც შეეხება პრესის საკითხს და მის გარშემო ატეხილ დისკუსიას, ამის შესახებ სხვა დროს გამოვსთქვამ აზრს. ეხლა კი ამხ. რ. კალაძის სადისკუსიო ხასიათის წერილიდან მინდა გამოვყო ერთი საკითხი თეორეტიული ხასიათის. ეს საკითხი შეეხება ენას.

ის (ენა), ამხ. რ. კალაძის აზრით, შექმნილია იმ დროს, როდესაც კლასების ჭაჭანებაც კი არ იყო. ამ ეროვნულ მოვლენას ჰქონდა ადგილი პირველ ყოფილ კომუნისტურ უკლასო საზოგადოებაში. ამხ. სტალინის აზრით, ენა ერთი ნიშანთაგანია ერისა ე. ი. ის თან სდევს ამ ცნებას. ამხ. რ. კალაძის აზრით კი შესაძლებელია ენა ეროვნული მოვლენა იყოს თანამედროვე კლასობრივ საზოგადოებამდის. როგორ უნდა გავიგოთ ეს ენა? არის ის, რასაც რუსულად ეძახიან (речь) (მეტყველება), თუ აქ მხედველობაშია თანამედროვე ლიტერატურული ნაციონალური ენა? თუ მას გავიგებთ პირველი მნიშვნელობით, მაშინ ამ „ენის“ გაჩენის დროს არ იყო არც ერი და არც კლასი და ის წარმოიშვა სულ სხვა მიზეზების გამო. აქედან ცხადია, ამ შემთხვევაში ენის ეროვნულობის შესახებაც ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ ვფიქრობთ ეს სიტყვა მეორე მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგრამ ამ შემთხვევაში აქ დიდი გაუგებრობა არის ან პრინციპიალური შეცდომა. თუ მივიღებთ იმას, რომ ენა მაშინ არის შექმნილი, როდესაც კლასების ჭაჭანებაც არ იყო, მაშინ აქედან ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ ამ უკლასო საზოგადოებამდისაც იყო ერი, რადგან შეუძლებელია იყოს ეროვნული, თუ არ არის ერი ე. ი. შეუძლებელია იყოს ატრიბუტი, თუ არ არის ამ ატრიბუტის მატარებელი. ამის დაშვება კი დიდი შეცდომა არის. ჩვენ, მარქსისტები, ვამბობთ, რომ ყველაფერი განიცდის წარმოშობის, განვითარების და აუცილებელი ნგრევის პროცესს, რომ ყველაფერი ემორჩილება ამ ცვალებადობის კანონს. ჩვენის აზრით, სახელმწიფო არ არის მუდმივი, ისტორიის გარეშე კატეგორია. არა ის წარმოიშვა კლასიურ საზოგადოებასთან ერთად და გაქრება მის გაქრობისთანავე. ასევეა ერის საკითხიც. ერი—ისტორიული კატეგორიაა და სრულებით არ არის ისეთი წმინდათა წმინდა, როგორც ეს ნაციონალისტებს აქვთ წარმოდგენილი. ერის წარმოშობა აუცილებელი იყო ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე და ისევე აუცილებელი გახდება მისი გაქრობა. როდის წარმოიშვა ერი? მაშინ, როდესაც განვითარდა ალებმიცემობა, სავაჭრო კაპიტალი, როდესაც ფეხი მოიკიდა სამრეწველო ბურჟუაზიამ, როდესაც აუცილებელი გახდა ამ ბურჟუაზიისათვის ნაციონალური ბაზარი და მისთვის ბრძოლა,—აი, ამ ბაზრის გარშემო ტრიალებდა მთელი აღორძინებული სამრეწველო ბურჟუაზიის მოღვაწეობა. ამერიკა—ამერიკასათვის, იტალია—იტალიისათვის და სხვ. აი ლოზუნგი ნაციონალური ბურჟუაზიის. **პროცესი ამ ნაციონალური ბაზრის დაპყრობისა და მისთვის ბრძოლისა, იყო იმავე დროს პროცესი ერის კონსოლიდაციისა, მისი კრისტალიზაციისა.** ერი წარმოიშვა პატრიარქალური წყობილების ნანგრევებზე, ძველი ტომების ნანგრევებზე, რასაც ხელი შეუწყო სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ ძველი წყობილების დაშლით. ცვლილება მოჰყვა ამას ენის მხრივ? თუ უწინ გვქონდა ტომთა დიალექტები (კილოკავები), მათი გაქრობის შემდეგ გამომუშავდა ერთი ნაციონალური ლიტერატურული ენა. ეს ენა უარყოფა იყო უწინდელი დიალექტების, დიალექტიური უარყოფა. ნაციონალური ენის შექმნა აუცილებელი იყო შექმნილი ერისათვის, რადგან ის (ერი), ძველი ეკონომიური პარტიკულიარიზმის და ტომთა დაქუცმაცების ნაცვლად წარმოადგენდა ერთ მთლიან ეკონომიურ ორგანიზმს. წარმოების და გაცვლა-გამოცვლის დროს აუცილებლათ საჭირო იყო ერთი ენა. **მაშასადამე ნაციონალური ენის ისტორიული ფაქტი გვაქვს ჩვენ მხოლოდ ერის წარმოშობის შემდეგ ე. ი. ბურჟუაზიული კლასობრივი საზოგადოების დამყარების შემდეგ.** სხვანაირათ შეუძლებელიც იყო. ამიტომ გაუგებარია ამხ. რ. კალაძის სიტყვები, რომ ენა შექმნილია მაშინ, როდესაც კლასების ჭაჭანებაც არ იყოვო. აქ არის ისტორიული მოვლენების მარქსისტულათ, დიალექტიურათ გაგება.

და მართლაც იყო თუ არა ქართული ლიტერატურული ნაციონალური ენა მანამდის, სანამ ქართველი ხალხი ერთ ერათ არ გადაიქცა? მანამ, სანამ არ მოისპო ჩვენი „კნიაზების“ ეკონომიური და სხ. კარჩაკეტილობა და ეკონომიური თანამშრომლობის ნიადაგზე ყველა სამთავროები და სამეფოები არ გაერთიანდა? ჩვენ ვამბობთ, რომ არა მეგრელებს, სვანებს და სხვ. ჰქონდათ თავიანთი დიალექტები. არ იყო ერთი სახალხო ენა. **ამას ნიადაგი მოუმზადდა, როდესაც ამოშენებულ იქნა ეკონომიური საფუძველი ამ ზედნაშენის.** და ჩვენც ვხედავთ, რომ საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ ვითარდება ჩვენი ლიტერატურული ენა. ისტორიულათ ეს პროცესი ასე მიმდინარეობდა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, ენა, ეს ეროვნული მოვლენა, ნაყოფია კლასიური საზოგადოების ისევე, როგორც მისი ნაყოფია ერი და სახელმწიფო და რომ ამ კლასიურ საზოგადოებამდის, ჩვენ არცა ენა (ნაციონალური) და არც სხვა რაიმე ეროვნული არ გვქონია.

ქ. ორაგველიძე.

გერმანია რევოლიუციის წინ

საქსონიის კომპარტიის მოთხოვნილება: საქსონიის კომპარტია თავის მოწოდებებში პროლეტარიატისადმი მოითხოვს ლანდტაგის მოწვევას, საალყო წესების გაუქმებას, შეიარაღებულ პროლეტარულ რაზმების გაძლიერებას და მუშურ-გლეხურ მთავრობის შექმნას.

შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ: კიუსტრინეში ნაციონალისტებმა მოაწყვეს აჯანყება, რომელიც ჩაქრობილ იქნა. შეტაკების დროს მოჰკლეს რამოდენიმე კაცი.

რეაქციის ბანაკში: რეაქციონური სარდლები განაგრძობენ ჯარების დათვალიერებას და სამხედრო ორგანიზაციების მოწყობას.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა: მთელ საბჭოთა ფედერაციაში მშრომელი მასები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ გერმანიის პროლეტარიატის დახმარების საქმეში.

საქსონიის კომპარტიის მოთხოვნილება

ბერლინი. 2 ოქტომბერი. საქსონიის კომპარტია თავის მოწოდებაში პროლეტარიატისადმი მოითხოვს ლანდტაგის მოწვევას, საალყო წესების გაუქმებას, შეიარაღებულ პროლეტარულ რაზმების გაძლიერებას, და აგრეთვე საქსონიის საზღვრების გამაგრებას ბავარიის წინააღმდეგ მიმართვა მოუწოდებს სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ მოქმედების საერთო კომიტეტის დაარსებისა, საქსონიის მუშურ-გლეხურ მთავრობის შედგენისა და გენერალურ პოლიტიკურ გაფიცვის მომზადებისაკენ, საერთო გერმანიის მუშურ-გლეხური მთავრობის შედგენის მიზნით.

ტიურინგიის ორგანიზაცია მხარს უჭერს ამ მოთხოვნილებას. საქსონიაში და ტიურინგიაში სოციალ დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის მოლაპარაკება გრძელდება.

შტრეზემანის მთავრობის წინააღმდეგ

ნაციონალისტების აჯანყება კიუსტრინეში.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. ოფიციალურ ცნობების თანახმად, ორშაბათს კიუსტრინეში ნაციონალისტებმა მოაწყვეს აჯანყება. ციხის უფროსმა, გაძლიერებულ გარნიზონის დახმარებით მოახერხა აჯანყების ჩაქრობა. ღამით ნაციონალისტებმა განაახლეს აჯანყება, მაგრამ დამარცხებულ იქნენ ჯარების მიერ, შეტაკების დროს მოკლულია და დაჭრილია რამოდენიმე ნაციონალისტი. ამის გამო ბერლინის მიდამოებს იცავენ გაძლიერებული პოლიცია და ჯარები. აჯანყების მეთაურები დატუსაღებული და დამწყვდეული არიან ციხეში.

ცდები დატუსაღებულთა განსათავისუფლებლათ.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტოს ცნობებით, გზაზე ციხისაკენ მოხდენილი იყო ცდა დატუსაღებულ აჯანყების მეთაურთა განსათავისუფლებლათ. ხმარებული იყო იარაღი.

სიკვდილით დასჯა გაფიცვებისა და საბოტაჟისათვის.

ბერლინი. 3 ოქტ. ბავარიის დიქტატორმა აკრძალა ყოველგვარი გაფიცვები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებებში. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან სიკვდილით ანდა ციხეში დამწყვდევით, თუ დამნაშავეთა მოქმედებას შედეგათ მოჰყვა ვისიმე სიკვდილი. ასეთივე მძიმე სასჯელია დაწესებული საბოტაჟისათვის. ტერორისტულ აქტებისათვის, რომელნიც მიმართული იქნებიან სამშობლოს დამცველ ანდა განსაზღვრულ პოლიტიკურ მიმართულების პირთა წინააღმდეგ, დანაშავენი დაისჯებიან ციხეში დამწყვდევით.

აჯანყება კიუსტრინეში.

ბერლინი. 3 ოქტ. ირკვევა, რომ კიუსტრინეში აჯანყებულ ნაციონალისტთა რიცხვი უდრიდა 400 კაცს, მათ შორის 12 გერმანიის არისტოკრატიის წარმომადგენელი. კიუსტრინეში გაწვეული ჯარები დღეს უკვე ბრუნდებიან ბერლინში.

რეაქციის ბანაკში

ფაშისტების მადა.

ბერლინი 30 სექტ. გრაფი გენიგ ზულრესი და რევენტლოვი მიუნხენის ფაშისტურ გაზეთში „აბენდ ცეიტუნგ-ში გამოქვეყნებულ მოწოდებაში **მოითხოვენ სრულიად გერმანიის ფაშისტურ მთავრობის დაარსებას.**

ტიურინგიის მთავარი კომისარი—შავრაზმელია.

ბერლინი. 30 სექ. ტიურინგიის მთავარ სამხედრო კომისრათ დანიშნულია 1919 წლის პროლეტარულ მოძრაობის დახშობით ცნობილი გენერალი რეინჰარდტი.

ნაციონალისტები მონარქიაზე ოცნებობენ.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. გერმანიის ნაციონალისტებს განზრახვა აქვთ სოციალ-დემოკრატები გამოდევნონ კოალიციიდან და თვითონ დაიჭირონ მათი ადგილები. ნაციონალისტები აღარა ჰფარავენ თავის მონარქისტულ მისწრაფებას და დარწმუნებულნი არიან, რომ დადგა დრო მონარქიის აღდგენისა.

საგანგებო მდგომარეობის ბნელი მხარეები

ბერლინი. 30 სექტემბერი. „ფორვერტს“-ი ხაზს უსვამს სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების აშკარად აგდებას და კეთილგანწყობილებას ლიუდენდორფისა და ჰიტლერის მიმართ. გაზეთი აღნიშნავს, **რომ სასურველია ენერგიული ზომების მიღება ცენტრის მიერ, რადგან საგანგებო მდგომარეობის კულისებს იქით, ბავარიის უკიდურესი ნაციონალისტები ხიფათს უმზადებენ გერმანიას.**

კარის მფარველობით.

პარიზი. 1 ოქტომბერი. მიუნხენში გაიმართა ჯარების და პოლიციის აღლუმი, რომელმაც ცერემონიალური ჰიმნით გაიარა აღლუმის მიმღებ რუპრეხტის წინ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა

ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ოდესა. 3 ოქტომბერი. მრავალ რიცხოვან კრებებზე, რომელიც იმართება ფაბრიკა-ქარხნებში, **გამოაქვთ ერთსულოვანი რეზოლიუციები გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციისათვის ყოველგვარ დახმარების გაწევის შესახებ.**

ხარკოველ სტუდენტების დახმარება.

ხარკოვი. 31 სექტემბერი. პროლეტარულ სტუდენტობის საერთო საქალაქო კრებამ სახ. განათლების კომისარის მოადგილის ამხ. ზატონსკის მოხსენების შემდეგ გერმანიის ამბების შესახებ, მიიღო რეზოლიუცია რომელიც **ესალმება გერმანიის პროლეტარიატის მოთმინებას მის გმირულ ბრძოლაში და მოუწოდებს სტუდენტობას აქტიური დახმარება გაუწიონ „გერმანიის მუშების დახმარების კვირეულს“.**

კრებამ გადასწყვიტა ერთდროული დახმარების სახით თვითეულ სტუდენტს შეაწეროს 3—10 კაპეიკამდე ოქროთი.

წითელი ორთქმავლები მზად არიან სოციალიზმისაკენ გასამგზავრებლად.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. მინსკის რკინისგზელთა ყრილობა 2000 მუშის სახელით ესალმება გერმანიის პროლეტარიატს და აცხადებს: **„პირველ დაძახებისთანავე წითელი ორთქმავლები მზად არიან გაემგზავრონ სოციალიზმისაკენ მიმავალი გზით“-ო.**

მიმართვა ყველა ქვეყნების მეზღვაურებისადმი.

ოდესა. 3 ოქტომბერი. უცხოეთის 6 ეროვნებათა მეზღვაურთა კრება მიღებულ რეზოლიუციაში **მოუწოდებს ყველა ქვეყნების მეზღვაურთ აქტიური დახმარება გაუწიონ გერმანიის რევოლიუციას.**

ხარკოვის ორთქლმავალზე მომუშავეთა რეზოლიუცია.

ხარკოვი. 3 ოქტომბერი. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ხარკოვის ორთქლმავალზე მომუშავენი **ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამენ გერმანიის პროლეტარიატს და მოუწოდებენ მას მტკიცეთ იდგეს რევოლიუციონურ პოზიციაზე.**

უანგაროთ დავიცავთ გერმანიის პროლეტარიატს.

მოსკოვი. 1 ოქტ. პროფკავშირთა ცენტრალ. საბჭოს პლენუმზე ამხ. ლოზოვსკიმ მოხსენება გააკეთა პროფინტერნის მუშაობის შესახებ.

„პროფინტერნის ძირითადი მუშაობაა მთლიანი ფრონტის ლოზუნგის პრაქტიკული განხორციელება. განკერძოებულ, ერთეულ და მოუწესრიგებელ გამოსვლების მაგიერ საჭიროა მოქმედება მთელს ფრონტზე. ჩვენ ფაშიზმისა და კომუნიზმის ზრდის მოწმენი ვართ. ორ პოლიუსზე იკრიბება და იკუმშება ძალები. ეს დაგროვება რევოლიუციის მოახლოებას მოასწავებს.

რევოლიუცია კარზე მოადგა გერმანიას. გერმანიის კონტრ-რევოლიუციას ჰყავს 250 ფაშისტური ორგანიზაცია, რომლებშიაც შედის 500 600 ათასი ტეხნიკურათ მომზადებული კაცი, მათ ხელმძღვანელობს ჰინდენბურგი, ლიუდენდორფი და სხვა ასეთივე გამოცდილი გენერლები. **გერმანიის კონტრ-რევოლიუციას მხარს უჭერს პროფკავშირები და სოციალ-დემოკრატია.** გერმანიის რევოლიუციის ძალა პირველათ ყოვლისა ობიექტიური პირობებია: მასების სწრაფი გაბოგანოება დ კონტრ-რევოლიუციონურ დემოკრატიის დაშლა. რევოლიუციის ძალას, გარდა ამისა, შეადგენს **კომუნისტური პარტია, რომელიც აერთიანებს 400.000 კაცს,** და აგრეთვე საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტების რევოლიუციონური მოძრაობა და წითელი რაზმები.

მაგრამ რევოლიუციონური გერმანია გარსშემორტყმულია პოლონეთით, ჩეხო-სლოვაკიით, საფრანგეთით, ინგლისით და იტალიით. მეზობელ იმპერიალისტებს გერმანიის რევოლიუციის დახშობა შეუძლიათ. ჩვენ ვერ მივცემთ მათ ამის ნებას. **გერმანიის რევოლიუციის დახშობა რუსეთის რევოლიუციის დახშობასაც ნიშნავს.** რუსეთისა და მისი პროლეტარიატის ბედიღბალი გერმანიის რევოლიუციის ბედთან არის გადანასკვული. **ჩვენ ყოველივე უნდა შევსწიროთ გერმანიის რევოლიუციის გადასარჩენათ.**

ამხ. ლოზოვსკის მოხსენებაზე მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „რუსეთის პროფკავშირები მოუწოდებენ ყველა ქვეყნის მუშებს სერიოზულათ და უანგაროთ დაიცვან გერმანიის პროლეტარიატი ძლიერ შინაგან და გარეშე კონტრ-რევოლიუციასთან მძიმე ბრძოლაში. სრულიად კავშირის პროფკავშირთა ცენტ. საბჭო მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროფკავშირებს ფართე კამპანიის დაწყებისაკენ გერმანელ მუშათა დასახმარებლათ. ეს დახმარება პირველათ ყოვლისა უნდა გამოიხატოს საკუთარ ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ენერგიულ და ულმობელ ბრძოლაში. პროფკავშირებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ინტერვენცია გერმანელ მუშათა გამარჯვების შემთხვევაში.

სრულიად კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო მხურვალე მოწოდებით მიმართავს საფრანგეთის, ინგლისის, ჩეხო-სლოვაკიის, რუმინიისა და იტალიის ძმურ ორგანიზაციებს არ მისცენ თავისი ქვეყნის ბურჟუაზიას გერმანიის რევოლიუციის დახშობის საშუალება. გერმანიის რევოლიუციის დაცვა ყოველ ქვეყნის მუშებისათვის არის იმავე დროს თავდაცვაც. ყველა ქვეყნის მუშებმა საომარი სამზადისი უნდა მოახდინონ თავისი ორგანიზაციებში გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატისათვის უანგარო დახმარების გასაწევათ.

„მზათ არიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ“.

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. სტანოვლიანის თემის გლეხთა უპარტიო კონფერენციამ გერმანიის ამბების გამო წაკითხულ მოხსენების შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ **გლეხები ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ გერმანიის პროლეტარიატს.**

ქრონიკა

ეროვნული ენა პროფკავშირებში.

ენის საკითხი პროფკავშირებში უცდის თავის საბოლოო გადაწყვეტას. როგორც სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა დარგებში, ისე პროფკავშირებშიც სდგას ეს საკითხი. მას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენს რესპუბლიკებში.

რუსეთის პროფკავშირთა ორგანო „ტრუდ“ არჩევს მას და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ახლავე უნდა შევუდგეთ პროფკავშირების ნაციონალური შემადგენლობის გამორკვევას, რათა ამის და მიხედვით გადაწყდეს საკითხი, თუ როგორ ენაზე მოხდება საქმეების წარმოება და მუშაობა კავშირებში.

ავტორი ეხება კავშირებში იმ ამხანაგების მუშაობას, რომლებმაც არ იციან ადგილობრივი ენა.

> „ყველა ამ მუშაკებმა ან სულ არ იციან ან და ძალიან ცუდათ—ადგილობრივი ენა. ეს გარემოება აძნელებს საბჭოთა აპარატის გადასვლას ადგილობრივ ენაზე და საჭიროთ ხდის ფართო მუშაობას იმ ამხანაგების მოსამზადებლათ, რომლებმაც იციან ეს ენა“.

ავტორი ეხება კერძოთ უკრაინის მაგალითს და ამბობს:

> „იქ მიმდინარეობს კამპანია მუშაკთა ფართო კადრებში ადგილობრივი ენის შესასწავლათ. ამ მუშაობაში დიდი მონაწილეობა უნდა მიიღონ კავშირებმა, რადგან ამას მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები და ინტერესები კავშირის წევრების...
>
> „პრაქტიკული კითხვები პროფმუშაობის ეროვნულ უმცირესობათა შორის საკმაოთ არ არიან ჯერ კიდევ გაშუქებული და საჭიროებენ შესწავლას. ჩვენ ვიმყოფებით ამ მუშაობის იმ სტადიაში, როდესაც მოგროვილი მასალა არ არის საყოფი პრაქტიკული დასკვნებისათვის“.

სათანადო მუშაობა სწარმოებს ჩვენშიც, მიღებულია უკვე ზომები და აუცილებელი შეცდომებისა და ძიების შემდეგ აქაც ნახავს ეს საკითხი თავის საჭირო და მიზანშეწონილ გადაწყვეტილებას.

⁂

სოფლის ელექტროფიკაცია.

1920 წლიდან საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულია გეგმა ქვეყნის ელექტროფიკაციისა. ეს გეგმა, რასაკვირველია, ერთი სულის შებერვით არ გატარდება; მისთვის საჭიროა მთელი პერიოდი, რომელიც განსაზღვრულია ათი წლით მაინც. ეს არის მაქსიმალური პროგრამა ამ გეგმის. ხოლო ნაწილობრივ ის უკვე ტარდება; მთელ რიგ ქალაქებში და პროვინციებში შენდება სადგურები და უკვე არსებულ სადგურების საშუალებით შესაძლებელი ხდება სოფლების განათება ელექტრონით. საინტერესო რა დახმარება გაუწიეს ამ საქმეს მუშებმა. მოსკოვის გაზ. „ბედნოტა“-ში მოყვანილია ამის შესახებ ცნობები:

> „ბევრ კერძო ქარხნებში დგანან ორთქლის ნავთის და სხვა მამოძრავებლები, რომლებსაც რჩებოდათ მუშაობის გათავების შემდეგ ზედმეტი მექანიური ძალა. მუშებმა მიუდგეს მათ ელექტრონული მოტორები და გაიყვანეს ძაფები ქარხანასთან ახლო მდებარე სოფლებში. ამნაირათ არსებული გეგმის გარეშე მოეწყო სოფლების განათება ქალაქებიდან. ამ გზით მოხდა მთელ რიგ სოფლების ელექტროფიკაცია“.

ამას გარდა ქალაქებს თანდათან შეაქვთ თავის ქსელში მეზობელი სოფლები და ამნაირათ ტარდება საერთო გეგმის მინიმუმი.

ჩვენი სოფელიც უცდის ელექტრონს; სულ ახლო მომავალში ჩვენც გვექნება ამის საშუალება. სოფლის ელექტროფიკაცია შორეული მომავლის ილიუზია აღარ არის,—ის უკვე ისხამს ხორცს და ტარდება ცხოვრებაში.

5

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. კენენი

გერმანიის რეიხსტაგის კომფრაქციის პრეზიდიუმის წევრი.

კაპიტულაციის შემდეგ

რესპუბლიკის დაცვის კანონის გაუქმება

ბერლინი. 1 ოქტომბერი. კარის განკარგულებამ რესპუბლიკის დაცვის კანონის გაუქმების შესახებ უკმაყოფილება გამოიწვია ბერლინის მთავრობის წრეებში. „ბერლინერ ტაგებლატ-“ი აღნიშნავს, რომ **მთავრობას არ შეუძლია გვერდი აუაროს ასეთ აქტს.**

მუშათა მოძრაობის ტერორი

ბერლინი. 1 ოქტომბერი. საქსონიის სამხედრო კომისარმა გენერალმა მიულლერმა განკარგულება გამოსცა პროლეტარული საკონტროლო კომისიების გაუქმების შესახებ და **შეეცადა დაეშალა თავდაცვის პროლეტარული რაზმები.** ამ უკანასკნელთა დაშლა მან ვერ მოახერხა, რადგან **ამის წინააღმდეგ გაილაშქრა საქსონიის მთავრობამ.**

ხელისუფლების მიერ აკრძალულია კომუნისტების კრებები. მიუხედავათ საქსონიის მთავრობის პროტესტისა, ფაშისტები სარგებლობენ კრებების თავისუფლებით.

თეთრგვარდიელები გარბიან

რიგა. 1 ოქტომბერი. გაზეთი „ლატვის“-ი იტყობინება, რომ ესერების პარტიის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ლატვიის მთავრობას ნება მიეცეთ მათ გადაიტანონ გაზეთ „დნი“-ს გამოცემა ბერლინიდან რიგაში.

სეპარატისტების გამოსვლა

ბერლინი. 1 ოქტომბერი. დიუსელდორფში კომუნისტებსა და სეპარატისტებს შორის მომხდარ შეტაკების დროს დაიჭრა 9 კაცი.

გრანდიოზული ანტი-სეპარატისტული დემონსტრაცია.

ბერლინი. 2 ოქტომბერი. **კიოლნში შესდგა გრანდიოზული ანტისეპარატისტული დემონსტრაცია. დემონსტრაცია მეტათ მრავალრიცხოვანი იყო.** დემონსტრანტებმა ფიცი დასდეს დაიცვან ქვეყნის მთლიანობა და რეზოლიუცია მიიღეს, რომელშიაც აცხადებენ, რომ შეებრძოლებიან ყოველგვარ სეპარატისტულ ცდებს. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სეპარატისტებს არა აქვთ არავითარი უფლება ილაპარაკონ და იმოქმედონ რეინის ოლქის მოსახლეობის სახელით. კომუნისტები და მუშები წინააღმდეგი არიან დამოუკიდებელ რეინის რესპუბლიკის დაარსების.

უთანხმოება კოალიციის შიგნით.

ბერლინი. 2 ოქტომბ. რეიხსტაგში დანიშნული პოლიტიკური დებატები გადადებულია განუსაზღვრელ ვადამდე. **შტრეზემანის პარტიის მემარჯვენე ფრთა, რომელსაც მეთაურობს ზარეცკი, ოპოზიციაში ჩაუდგა დიდ კოალიციას.**

სოციალ-დემოკრატთა გაერთიანება კომუნისტებთან სრულიად გერმანიის მასშტაბით.

ლონდონი. 1 ოქტ. „გლობ ტორონტო“-ს ბერლინელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ თუ ახალი კოალიცია უსოციალ-დემოკრატებოდ შეიქმნა, **მაშინ ეს უკანასკნელნი კომუნისტებთან გადავლენ.** ასე მოხდა უკვე ბავარიასა და საქსონიაში, სადაც სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების კავშირი ბევრის მომასწავებელია.

მიტინგის განდევნა

ბერლინი 2 ოქტომბერი. **ვოლფენ მიუტელში (ბრაუნშვეიგი) პოლიციამ განდევნა მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო კომუნისტების მიერ.** წესრიგის აღსადგენათ პოლიციას დაეხმარა რეგულიარული ჯარის რაზმი.

მნიშვნელოვან ცვლილებების მოლოდინში.

ლონდონი 3 ოქტომბერი. „დეილი-მეილის“ ბერლინელი კორესპონდენტი ატყობინებს თავის გაზეთს, რომ გუშინ გერმანიის პარტიების ლიდერები იხილავდენ შექმნილ მდგომარეობას და ადვილი შესაძლებელია, რომ კაბინეთში ძალიან ჩქარა მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. ფიქრობენ, რომ კაბინეტში შევლენ ნაციონალისტები, ხოლო სოციალ-დემოკრატები გავლენ მთავრობის შემადგენლობიდან.

დაკავებულ ოლქებში

საალყო წესები დიუსელდორფში.

ბერლინი. 2 ოქტომ. **დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მომხდარ შეტაკების გამო დიუსელდორფში შემოღებულია საალყო წესები.** საფრანგეთის ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულია რამდენიმე პასუხის მგებელი გერმანელი მოხელე.

დაწვრილებითი ცნობები დიუსელდორფის ამბების შესახებ.

ჰანოვერი. 2 ოქტომ. ოფიციალურმა კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ გერმანიის პოლიციამ მიიღო ზომები მხოლოდ დემონსტრანტების მიერ რამდენიმე პოლიციელის ცემის შემდეგ. **სეპარატისტებმა გამოიწვიეს დასახმარებლად ფრანგების ჯარისკაცები, რომელთაც პოლიციელები განაიარაღეს.** ამავე დროს პოლიციელებს უხეში შეურაცხყოფაც მიაყენეს. „დეილი ქრონიკლის“ დიუსელდორფის კორესპონდენტის ცნობით, **ფრანგების ჯარების თვალწინ სეპარატისტებმა სასიკვდილოთ სცემეს ორ პოლიციელს.** საფრანგეთის სარდლობამ დიუსელდორფში საალყო წესები გამოაცხადა.

შეტაკება კომუნისტებსა და პოლიციას შორის.

ჰანოვერი. 2 ოქტომ. **ვოლფენბიუტელში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და პოლიციას შორის.** წესრიგი აღდგენილია.

დიუსელდორფის ამბების გამო.

ლონდონი. 3 ოქტომ. საფრანგეთის ხელისუფლებმა დამალეს დიუსელდორფის მწვანე პოლიცია, რომელმაც სროლა აუტეხა სეპარატისტების დემონსტრაციას. ოფიციალურ ცნობების თანახმად **დიუსელდორფის ამბების დროს მოკლული იქნა ათი, დაჭრილია დაახლოვებით 200 კაცი.**

გამარჯვებულთა პოზიცია

პუანკარეს სიტყვა მაასის დეპარტამენტის გენერალურ საბჭოს სესიაზე.

პარიზი. 2 ოქტომბერი. მაასის დეპარტამენტის გენერალურ საბჭოს სესიაზე პუანკარემ განაცხადა: **„ჩვენის მხრივ დაუსრულებელ დათმობების შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეკავებინა რური. აი სწორედ ამ დროს დაიწყო საოცარი კომედია, რომელსაც ადგილათ შეეძლო სისხლისმღვრელ დრამად გადაქცევა.** საფრანგეთის მთავრობას არ აშინებდა „წინააღმდეგობა“, რადგან კარგათ იცოდა, რომ ეს უგნურობა კრახით დამთავრდებოდა. ეხლა გერმანიის მთავრობა იძულებულია აღიაროს ეს კრახი“.

პუანკარემ ხაზი გაუსვა იმას, რომ **გერმანიის მთავრობის ბრძანებას პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ ძალიან ბუნდოვანი და ორაზროვანი ხასიათი აქვს. „ეს იმის მაჩვენებელია, რომ საფრანგეთის ამოცანები ჯერ კიდევ შესრულებული არ არის. „ფრანგები დარჩებიან მდგომარეობის ბატონებათ, თუ შეინარჩუნებენ სრულ გულგრილობას“** დაასრულა სიტყვა პუანკარემ.

ტყავი გააძვრეს

პარიზი 2 ოქტ. იხილავს რა პუანკარეს სიტყვას, ოფიციოზური ფრანგული პრესა **ესალმება მის გადაწყვეტილებას არ გადასდგას საბოლოო ნაბიჯები მანამ, სანამ გერმანია საქმით არ დაამტკიცებს, რომ ის მზად არის გადაიხადოს რეპარაციები.** „აქსიონ ფრანსეზი“ გულწრფელად აცხადებს, რომ სარეპარაციო გეგმები ზედმეტია, ვინაიდან საფრანგეთს შეუძლია დაკმაყოფილდეს რურის ექსპლოატაციით.

პუანკარეს გამარჯვება არის ევროპის დაღუპვა.

ლონდონი. 2 ოქტ. ინგლისის მუშათა პარტიის წინამძღოლი მაკდონალდი სწერს: **„იმ შემთხვევაში, თუ პუანკარემ გაიმარჯვა, ევროპა და კერძოდ ინგლისი სავსებით განადგურდება.** ანგრევს რა ევროპის ცივილიზაციას, პუანკარე თავისი ბარბაროსობით ვანდალებზე უფრო შორს მიდის“.

ბარტუს განცხადება.

პარიზი. 2 ოქტ. საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარემ ბარტუმ განაცხადა, რომ **დიდი შეცდომა და საშიში დაბნეულობა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს პასიური წინააღმდეგობის გაუქმება რაიმე ახალს იძლეოდეს. საფრანგეთს** არ სურს დაამციროს და გაალატაკოს ან დაანაწილოს გერმანია. გერმანიის ბედი დამოკიდებულია მის კეთილსინდისიერ ნებაყოფლობაზე, **საჭიროა მხოლოდ ის, რომ გერმანიამ შეიგნოს თავისი დემარცხება და აიტანოს მისი შედეგები** რომ მან ლოიალურათ ღ სისწორით შეასრულოს საკონტრიბუციო ვალდებულებანი, რომლებიც აღნიშნული არიან ვერსალის ხელშეკრულებაში, რომელზედაც მას ხელი აქვს მოწერილი.

ინგლისმა და საფრანგეთმა გადასწყვიტეს შეერთებული ძალებით ჩაახშონ გერმანია.

ლონდონი. 1 ოქტ. უკეთებს რა კომენტარიებს გერმანიის მდგომარეობას, „სანდეი ტაიმს“-ი ამბობს: „რახან პასიური წინააღმდეგობა გაუქმებულია, არის იმის იმედი, რომ რურში შესაძლებელი იქნება წინანდელი მრეწველობის აღდგენა და რომ **საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრას ინგლისი და საფრანგეთი მოახერხებენ შეთანხმებულად და ახალი გზით. ორთავე მხარის ინტერესი ამ გადაწყვეტილებაში თანაბარია. ორთავე მხარეს გადაწყვეტილი აქვს წაიღოს გერმანიიდან ის, რისი წაღებაც კი შეიძლება.** საერთო თვალსაზრისით ეხლანდელი მომენტი სავსებით ხელსაყრელია საკონტრიბუციო საკითხის შეთანხმებულათ გადასინჯვისათვის. პასიური წინააღმდეგობის გაუქმება უნდა ნიშნავდეს იმას, რომ რურის ოკუპაცია იცვლება როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ნდობის აღდგენა ლონდონსა და პარიზს შორის მოწმობს იმას, რომ **ლაპარაკიც არ შეიძლება ამ სახელმწიფოს აზრთა სხვადასხვაობის შესახებ საკონტრიბუციო საკითხში“.**

რადიო-დეპეშები

(როსტა“-ს ცნობები)

ბულგარეთის რევოლიუციის ჩაქრობა

ბულგარეთის რევოლიუცია ჩააქრეს; გამოირკვა, რომ მის ჩაქრობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ვრანგელი.

აჯანყებულთა მიერ დაკავებულ ქალაქებში გამოცხადებული იყო საბჭოთა ხელისუფლება.

ინგლისი და საფრანგეთი ხელს უწყობდენ ბულგარეთის მთავრობას აჯანყების ჩაქრობაში; მათ მხარს უჭერდა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიაც.

ბულგარეთის მთავრობა საშინელი ტერორით ებრძვის კომუნისტებს

ვინ ჩააქრო რევოლიუცია

ბულგარეთის აჯანყება ჩაქრობილია.

ვენა. 2 ოქტ. ბულგარეთის აჯანყება დასასრულს უახლოვდება. ოფიციალურ ცნობებით, მთელს ქვეყანაში აღდგენილია წესრიგი. **მთავრობის ჯარი სდევნის უკანასკნელ მეამბოხეებს.** რკინისგზის მიმოსვლა ნორმალურია. სამხრეთ-სლავიისა და რუმინიის წყაროებიდანაც იუწყებიან აჯანყების ჩაქრობის შესახებ.

ირკვევა, რომ ინგლისის და იტალიის მთავრობები დახმარებას უწევდენ ცანკოვს კომუნისტებთან ბრძოლაში. სამხრეთ-სლავიის მთავრობა აჯანყების დასაწყისში უთანაგრძნობდა რევოლიუციონურ მოძრაობას, რადგან ფიქრობდა, რომ მას ხელმძღვანელობს საგლეხო პარტია. მაგრამ გამოირკვა თუ არა მოძრაობის კომუნისტური ხასიათი, სამხრეთ-სლავიამ სწრაფად შესცვალა თავისი პოზიცია.

აჯანყების თანდათანობითი განვითარება.

ვენა. 2 ოქტომბერი. ირკვევა აჯანყების თანდათანობითი განვითარება: **ბრძოლა დაიწყო 20 სექტემბერს ძველ ზაგორა-ჩერპანის რაიონში,** საიდანაც მოძრაობა გავრცელდა ახალ ზაგორის რაიონზე და შემდეგ მთელს სამხრეთ ბულგარეთზე. **მუშათა და გლეხთა გაერთიანებული რაზმების წინააღმდეგ გაგზავნილი იყო მთავრობის ჯარი, რომელიც უმთავრესათ შესდგებოდა ვრანგელელთა და მაკედონიის დრუჟინებისაგან.**

21 სექტემბერს მთელს ქვეყანაში გამოცხადებული იყო საალყო წესები.

22 სექტემბერს დაიწყო ბრძოლა ჩრდილოეთ ბულგარეთში.

24 სექტემბერს მოძრაობა მისწვდა დობრუჯის საზღვარს.

26 სექტემბერს გააფთრებული ბრძოლები დაიწყო ჩრდილოეთ-დასავლეთ ბულგარეთში. **ჩრდილოეთ ბულგარეთში კომუნისტებმა შესძლეს მთავრობის ჯარის ყველა იერიშის მოგერიება. საშინელი ბრძოლა გაჩაღდა სოფიიდან 25 კილომეტრის მანძილზე. ეს მოვლენა იყო აჯანყების საკულმინაციო პუნქტი.** მთავრობის ჯარის ტექნიკური ჭარბობა აშკარა გახდა. თეთრგვარდიელებმა ერთი-მეორეზე დაიკავეს ჩრდილოთ-დასავლეთ ბულგარეთში მეამბოხეთა წინააღმდეგობის მთავარი ცენტრები. იქ მოხდა უკანასკნელი ბრძოლები, გააფთრებულ შეტაკებების შემდეგ, რომლებმაც რამოდენიმე დღე გასტანა, მთავრობის ჯარმა გასტეხა აჯანყებულთა წინააღმდეგობა. აჯანყებულთა ნაწილმა თავი შეაფარა სამხრეთ-სლავიის საზღვარს.

ბრძოლების მსხვერპლი.

ვენა. 2 ოქტომბერი. **ჯერ შეუმოწმებელ ცნობების თანახმათ, უკანასკნელ ბრძოლებში ორივე მხარემ 1500 მოკლული დაჰკარგა.** სამხრეთ-სლავიის ცნობებით აჯანყებულთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები სამხრეთ-სლავიის საზღვარზე გადავიდა. ნიშში 1000-მდე აჯანყებული ბულგარეთის გლეხები ჩამოვიდნენ.

სამხრეთ სლავიის მთავრობამ განკარგულება გასცა მეამბოხეთა დაუყოვნებლივ განაირაღების შესახებ. **აჯანყების დროს მეამბოხეთა მიერ ყველა დაკავებულ ქალაქებში გამოცხადებული იყო საბჭოთ ხელისუფლება.**

ხმები ბულგარეთის კომპარტიის მეთაურთა ბედის შესახებ.

ვენა. 2 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ ცნობით, **კოლაროვმა და დიმიტროვმა მოახერხეს სამხრეთ-სლავიის საზღვარზე გადასვლა.** ბულგარეთის გაზეთები კი ირწმუნებიან, რომ ისინი მოკლული არიან ბერკოვიცის ბრძოლებში.

ულმობელი ტერორი.

ვენა. 2 ოქტ. **აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბულგარეთში ულმობელი ტერორი გამეფდა.** ბულგარეთის ცნობების თანახმად, აჯანყების ჩაქრობის დროს მოკლულია 2000 მეამბოხე და ტყვეთ წაყვანილია 5000. **28 სექტემბერს სოფიაში დაპატიმრებული იყო 500 მუშა,** უმეტესად, მბეჭდავები. რუმინიის გაზეთები იუწყებიან სოფიაში და მის მიდამოებში მომხდარ მასიურ დახვრეტის შესახებ. მოკლულია კომპარტიის ვარნის ორგანიზაციის მდივანი კანდოვი, ვითომდა „გაქცევის ცდის გამო“.

სოციალ-შავრაზმელთა მონაწილეობა.

ვენა 2 ოქტ. **ბულგარეთის სოციალ-დემოკრატებმა აჯანყების დაწყებიდანვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყების დახშობაში და ყოველგვარათ ხელს უწყობდენ მთავრობას.**

ოსმალეთის ამბები

მცხოვრებთა გაცვლა-გამოცვლის კომისიაში.

ანგორა. 30 სექტ. ბერძნებმა თავისი დელეგატები დანიშნეს მცხოვრებთა გაცვლა-გამოცვლის შერეულ კომისიაში. ოსმალეთის დელეგაცია 3 ოქტომბერს მიემგზავრება.

იტალიის ელჩის ჩამოსვლა.

ანგორა. 30 სექტ. **ანგორაში მოელიან იტალიის ელჩის გონტანიას ჩამოსვლას.**

ოსმალეთის ნახევარწლიური ბიუჯეთ-აღრიცხვა.

ანგორა. 30 სექტემბ. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა ოსმალეთის ნახევარი წლის ბიუჯეტი 45 მილიონ ოსმალურ ლირის რაოდენობით.

ანგორა ოსმალეთის დედაქალაქი.

ბერლინი. 3 ოქტომბერი. გაზეთ „ნეიე ფრეიე პრესე“-ს კორესპონდენტთან ინტერვიუს დროს ქემალ-ფაშამ განაცხადა, რომ ანგორა დარჩება ოსმალეთის მომავალ რესპუბლიკის დედა-ქალაქად.

გერმანელ სპეციალისტის მოწვევა.

ბერლინი. 3 ოქტ. **ოსმალეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ყოფილი მთავარი დირექტორი, — გერმანელი, — მოწვეულია სამსახურში ოსმალეთის მთავრობის მიერ.**

სხვადასხვა

იაპონია

ცეცხლის-მფრქვევ მთის ასოს მოქმედების განახლება

ვლადივოსტოკი. 30 სექტემ. ცეცხლის-მფრქვევმა მთამ ასომა 17 სექტემბერს განაახლა მოქმედება.

გამანადგურებელი ტაიფუნი

პეკინი. 30 სექტემ. **კორეის ჩრდილოეთ ნაპირებზე გადაიქროლა ტაიფუნმა. დაიღუპა 350 კაცი და უკვალოდ დაიკარგა 1000 მეტი.**

პოლონეთი

150 პროც-ის მაგიერათ—30

ვარშავა. 30 სექტემბერი. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა კუხარსკიმ პრესაში გამოაქვეყნა ცნობა მორგანიდან 30 მილ. დოლარის სესხის აღების შესახებ. კუხარინსკის განცხადებით, ეს თანხა საკმარისი იქნება საემისიო ბანკის მოსაწყობათ.

ამ ცნობის გამო, ბირჟაზე დოლარი ოფიციალურათ ღირს 317.000 პოლონური მარკა, არა ოფიციალურათ 420.000 მარკა.

ინგლისი

მოითხოვენ პარლამენტის საჩქაროთ მოწვევას.

ლონდონი 30 სექტემბერი. მუშათა პარტიის აღმასკომი და ტრედიუნიონების კონგრესის გენერალური საბჭო მოითხოვენ პარლამენტის საჩქაროთ მოწვევას; ეს მოთხოვნილება დაკავშირებულია უმუშევრობის ზრდასთან ინგლისში და გერმანიის განსაკუთრებულ სერიოზულ მდგომარეობასთან.

პოპლარის სამზრუნველოს დახურვა.

ლონდონი. 30 სექტემბერი. უმუშევართა დემონსტრაციის გამო, რომელნიც ნახშირის ულუფის გადიდებას მოითხოვდენ, დახურეს პოპლარის სამზრუნველო.

მიუხედავათ სამზრუნველოს თავმჯდომარის ლანსბერის და კომუნისტ წევრების პროტესტისა, სამზრუნველოს შენობაში შეყვანილია პოლიცია.

დანია

დანიის კომპარტია მთლიანი იქნება.

კოპენჰაგენი. 30 სექტემბერი. შესდგა დანიის კომპარტიების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციაზე მიღწეულია შეთანხმება დანიაში ერთიან კომპარტიის შექმნის შესახებ. არჩეულია დროებითი ცენტრალური კომიტეტი. სამი თვის განმავლობაში შეერთების საკითხი საბოლოოთ გადაწყვეტილი იქნება პარტიების წევრთა რეფერენდუმის საშუალებით.

კომპარტიების გაერთიანებულ ჯგუფების მოწოდება ხაზს უსვამს სოციალ-დემოკრატიის უძლურებას და მოუწოდებს დანიის მუშებს გაერთიანდენ კომპარტიის გარშემო

ოსმალეთი

ოსმალეთის რესპუბლიკა.

რომი. 1 ოქტომბერი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ოსმალეთი გამოცხადდა რესპუბლიკათ

სტამბოლის ევაკუაცია.

რომი. 1 ოქტომბერი. ოსმალეთის ჯარები ემზადებიან სტამბოლში ზეიმით შესვლისათვის.

უცხოეთის ცხოვრება

გერმანიის მოსახლეობა კლებულობს.

გერმანიის სტატისტიკურმა უწყებამ გამოაქვეყნა საინტერესო ცნობები გერმანიაში დაბადებულთა რიცხვის შემცირების შესახებ. ამ ცნობების თანახმად წლის უკანასკნელ მეოთხედში გერმანიის 46 ქალაქში დაიბადა მხოლოდ 65.924 ბავშვი, მაშინ როდესაც წინა მეოთხედში დაიბადა 69.631, ხოლო 1922 წლის იმავე მეოთხედში კი 75726. მაშინ, როდესაც წლის წინა მეოთხედში დაბადებულთა რიცხვი გერმანიის ქალაქებში შეადგენდა 19,5 ათას მცხოვრებზე, საანგარიშო წლის მეოთხედში ეს რიცხვი უდრიდა 15,8—1. ამგვარად დაბადებულთა რიცხვი გერმანიის ქალაქებში უახლოვდება ომის წლების მინიმალურ ციფრს. სტატისტიკური უწყება აღნიშნავს, რომ 1922 წლის სათანადო მეოთხედში, ე. ი. მესამე მეოთხედი იყო ის მომენტი, როდესაც დაიწყო გერმანიის მარკის კატასტროფიული დაცემა და რომ ამგვარად დაბადებულთა რიცხვის დაცემა გერმანიის ქალაქებში დაკავშირებულია დოლარის კურსის აწევასთან. დამახასიათებელია, რომ დოლარის კურსი გავლენას ახდენს მხოლოდ დაბადებაზე ღ მისი გავლენა სრულიად არ ვრცელდება სიკვდილიანობაზე. სიკვდილიანობა არ გაზრდილა, მხოლოდ აღნიშნულია, რომ არ შემცირებულა სიკვდილიანობა ჭლექის, ფილტვების ანთების და სასუნთქავ ორგანოების სხვა ავადმყოფობათა ნიადაგზე, რაც გერმანიაში მოსალოდნელი იყო. პირიქით, იმ დროს როდესაც სიკვდილიანობის საერთო რიცხვი არ გაზრდილა, ჭლექის ნიადაგზე სიკვდილის რიცხვი აბსოლიუტურადაც და შედარებითაც გაიზარდა. ეს აიხსნება იმით, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გერმანიის მარკის კურსის დაცემით ეკონომიურად და განსაკუთრებით სურსათის მხრივ დაზარალდენ მცხოვრებთა ზოგიერთი წრეები; და სწორეთ ეს წრეები იძლევიან ჭლექით ავადმყოფთა უფრო დიდ ნაწილს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანება

(წევრთა შემადგენლობა 1923 წლის პირველი ნახევრის დასასრულს)

გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებაში შემავალ 45 ცენტრალურ კავშირში 1923 წლის პირველი ნახევრის დასასრულს ირიცხებოდა სულ 7,721,290 წევრი, აქედან 1,653,869 ქალი.

საანგარიშო პერიოდში გაერთიანების წევრთა რიცხვი შემცირდა. მაგალითად, წარსული წლის მესამე მეოთხედის დასასრულს წევრთა რიცხვი აღემატებოდა 8 მილიონს; 1922 წლის ბოლო რიცხვებში ის დაეცა 7,900,000 წევრამდე, მიმდინარე წელს ვიდრე აქნამდე წევრთა რაოდენობა უცვლელად რჩებოდა 7,7 მილიონი და დასასრულ, 23 წლის მეორე მეოთხედის ბოლოს დაეცა 7,721 წევრამდე. 1923 წლის პირველ მეოთხედთან შედარებით წევრთა რაოდენობა შემცირდა 3,096 მამა-კაცით და 6,752 ქალით, ხოლო 1922 წლის ბოლო რიცხვებთან შედარებით ეს რიცხვი შემცირდა 187,226 წევრით, რომელთაგან ქალები შეადგენენ 76,583.

შემდეგ შვიდ კავშირში წევრთა რიცხვი არ აღწევს 10,000-დე: მესაფალტეების კავშირში ირიცხება 1,904 წევრი, გუნდების—4,175. ცეცხლის მქრობელის—2,201 (ცეცხლის მქრობელები 6,129 წევრის რაოდენობით შედიან აგრეთვე გერმანიის მოხელეების საყოველთაო გაერთიანებაში), საპირფარეშოების შეგირდების—5,648; მესპილენძეების—7,944; ხომალდის დურგლების—4,787; ღუმელის მწმენდელების—3,025. 10 ათასიდან 20 ათასამდე წევრი ირიცხება შემდეგ 7 კავშირში: მებოჭკეების—12,584; სახურავზე მომუშავეების—11,840; მეხორცეების—18,759; მებაღეების—17,772; ბეწვეულის დამმუშავებლების—12,102 (უკვე გადაწყდა მათი შეერთება მუშა მკერვალთა კავშირთან), მეკარეების—11,200 და კალატოზების—20,025. 20,000-დან 50,000-დე ირიცხება შემდეგ 5 კავშირში; სასტუმროების, რესტორანების და კაფეების მოსამსახურეთა კავშირში—47,257; მექუდეების—27,031; მეტყავეების—48,400; ლიტოგრაფების 20,732; მუსიკოსების—26,936 მეუნაგირეების და მეპორტფელეების—46,094. 50,000 ზევით 100,000 წევრამდე ირიცხება შემდეგ 9 კავშირში: მეფურნეების და კონდიტერების—75,288; მკინძავების—92,720; მბეჭდავების—70,000; მეშუშეების—82,579; გრაფიკული წარმოების შეგირდების—50,155; მქვაბავების—82,883; მღებავების—57,603; ფაიფურის ქარხნის მუშები—73,265 და ქვაზე მომუშავეების—53,097. 100,000-დან 200,000-დე წევრი ირიცხება მხოლოთ 4 კავშირში: მკერვალების—157,836; მემანქანეების—191,486; თამბაქოს ქარხნის მუშების—109,763 და დურგლების—107,183 წევრი.

შემდეგ არიან კავშირები, რომლებშიაც წევრთა რიცხვი ნახევარ მილიონამდე აღწევს; ასეთები არის ხუთი: სამთომადნო მუშათა კავშირი—398,312; რკინის გზელების—437,434; კომუნალური და სახელმწიფო მუშების—271,263; ხეზე მომუშავეების—435,624 და სასოფლო-სამეურნეო მუშების—449.107. საყოველთაო გაერთიანებაში ყველაზე უფრო დიდ კავშირს წარმოადგენს მელითონეების კავშირი, რომელშიაც ირიცხება—1,995.358 წევრი, შემდეგ მას მიჰყვება შავი მუშების კავშირი—720,308 წევრი, ფეიქართა კავშირი—705,890 წევრი, საამშენებლო მუშათა კავშირი—557.937 და ტრანსპორტელების კავშირი—535,958 წევრით.

ქალები სჭარბობენ მამა-კაცებს შემდეგ კავშირებში: მკერვალების (99,610 157,836 წევრიდან), მკინძავების (55,742 92,720-დან), მომღერალ გუნდების (2517 4175-დან), გრაფიკული წარმოების შეგირდების (34,023 50,155-დან), მექუდეების (19,180 27,631-დან), ბეწვეულის დამმუშავებლების (7826 12,102-დან), მეთამბაქოების (88,681 109,763-დან) და ფეიქრების (472,786 750,090-დან). მეფურნეების, კონდიტერების, შავი მუშების, კომუნალურ და სახელმწიფო მოსამსახურეების, სასტუმროების მოსამსახურეების, სასოფლო სამეურნეო მუშების, მეტყავეების, ფაიფურის ფაბრიკის მუშების და ფეხსაცმლის მოხელეების კავშირებში, ქალები შეადგენენ მნიშვნელოვან ნაწილს.

სრ. რუსეთის პროფსაბჭოს ა. კ. ბიუროს პლენუმის მესამე სესია

საწევრო გადასახადების პერსონალური შეტანა.

პლენუმზე აღნიშნული იყო, თუ როგორი წარმატებით ჩატარდა რესპუბლიკებში საწევრო გადასახადის პერსონალური გადახდევინება. პლენუმმა დაადგინა დაამთავროს ეს კამპანია მომავალი წლის დაწყებამდე.

საწევრო გადასახადების თავის დროზე გადაუხდელობისთვის.

პლენუმმა მისაღებად მიიჩნია გადაახდევინოს წევრებს თავის დროზე შეუტანელი საწევრო გადასახადი რეალურ—ღირებულების მიხედვით. პლენუმის აზრით, საჭიროა წინასწარ ჩატარდეს კამპანია კავშირის ფინანსიურ საშუალებათა მნიშვნელობის შესახებ და აგრეთვე გამოქვეყნდეს პრესაში და საზოგადო კრებებზე საწევრო გადასახადებიდან შეგროვილი თანხის დახარჯვის შესახებ ცნობები.

ადგილკომების ამრჩეველთა რაოდენობა.

არსებული დებულების თანახმად ადგილკომის არჩევის უფლება აქვთ იმ საწარმოოს, ან დაწესებულებას, რომელსაც 50 კაცზე ნაკლები მუშა-მოსამსახურე არ ჰყავს.

შრომის ნორმის წარმოების და განათლების მუშაკთა კვალიფიკაციისთვის.

პლენუმმა ამ საკითხზე დაამტკიცა დებულება, რომელიც საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის განათლ. მუშაკთა კავშირისა სატარ.-ეკონომიურ განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირზე იქნა გამომუშავებული. თანახმად ამ დებულებისა განათლების მუშაკთათვის წესდება სამუშაო დროის ერთიანი ნორმა ა. კავკასიის სამივე რესპუბლიკაში. სკოლების ტიპის სხვადასხვაგვარობის გამო ნორმის დასაწესებლად მიღებულია სამუშაო დროის ნორმებათ. 1) ოთხწლიანი კურსი (1 საფეხური) ნორმა—21 საათი (გაკვეთილის) კვირაში, 2) სამწლიანი (პირველი კონცენტრის მეორე საფეხური) 18 საათი (გაკვეთილის) კვირაში, 3) ორწლიანი (მეორე კონცენტრის მეორე საფეხური) 15 საათი (გაკვეთილის) კვირაში.

4) სპეციალური ტეხნიკუმები. ა) საერთო-საგანმანათლო საგნები—ნორმა—15 საათის (გაკვეთილის) კვირაში, ბ) უმაღლესი მათემატიკური და სპეციალური საგნები—9 საათი კვირაში, გ) პრაქტიკული მეცადინეობანი—12 გაკვეთილის საათი კვირაში.

5) უმაღლესი სასწავლებლები, ლექციები და სემინარიები, ა) პროფესორები და დოცენტები—6 სალექციო (სასემინარო) საათი კვირაში, ბ) ლექტორები და მასწავლებლები—9 სალექციო (სასემინარო) საათი კვირაში, გ) უცხო ენების მასწავლებელნი—12 სალექციო (სასემინარო) საათი, დ) ასისენტები 12 სალექციო (სასემინარო) საათი, მუშფაკებისათვის დაწესებულია სპეც-ტეხნიკუმების ნორმა, პედაგოგიურ ინსტიტუტების—უმაღლეს სასწავლებელთა ნორმა.

სასწავლებლის ტიპები, რომლებიც დებულებით გათვალისწინებული არ არიან უნდა მიეკუთვნონ დასახელებულ ტიპის ერთს რომელიმეთაგანს ცალკე რესპუბლიკების პროფორგანოს მიერ.

განათლების მუშაკთა კვალიფიკაცია წოდება საგანმანათლებლო (ცენზის და სტაჟის შესაბამად შემდეგი ცხრილის მიხედვით (17 კატეგორიანი ქსელი).

	[illegible]	[illegible]	მდაბ.
1) 5 წლ. სტაჟი	13	12	10
2) 5 წლ.—10 წლ.	14	13	11
3) 10 წელს ზევით	15	14	12

პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელობისა, ლაბორატორიების და კაბინეტების გამგეობისა და კლასის დამრიგებლობისათვის წესდება დამატებითი ჯილდო საერთო განაკვეთიდან პროცენტული შეფარდების სახით.

წითელ რუსეთში

რუსეთი

საერთაშორისო კოოპერატიული ყრილობა გადაიდო,

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის ცენტრალური კომიტეტის მიერ პრაგაში მოწვეული საერთაშორისო კოოპერატიული ყრილობა გადაიდო, რადგანაც ცენტრალური კომიტეტის 33 წევრიდან 29 წევრმა უარი განაცხადა მოსვლაზე. მოუსვლელობის მიზეზად ასახელებენ ევროპაში მდგომარეობის გართულებას.

ბელგიის და რუსეთის კოოპერაცია.

მოსკოვი 2 ოქტომბერი. ბელგიის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ფედერაციის მდივანმა სელვიემ მოსკოვი მოიარა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მოსახერხებელია კავშირის გაბმა რუსეთსა და ბელგიის კოოპერატივთა შორის. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს სელვიემ განაცხადა, რომ ცენტროკავშირისა და ბელგიის კოოპერაციის შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა სასურველი კი არა, შესაძლებელიც არის.

ბელგიელ სერვიეს გამოლაშქრების შესახებ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, სელვიემ განაცხადა, რომ სერვიეს ბროშურა საქართველოს საკითხის შესახებ ნაყოფია ბელგიის სოციალ-დემოკრატიული პარტის პოლიტიკისა, რომელსაც ვანდერველდე ჰბელადობს. ამისთვის ამ ბროშურას ისე ვერ შევხედავ, როგორც „ობიექტიურ“-შრომას. სელვიემ სინანული გამოსთქვა, რომ ვერ სარგებლობს საქართველოს კოოპერაციის მოწვევით და ვერ ახერხებს საქართველოსკენ გამგზავრებას.

უცხოელები გამოფენაზე.

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. გამოფენაზე მოელიან გერმანიის სტუდენტებს და დანიიდან—გლეხებს.

გამოფენის გავლენა.

ვიატკა. 2 ოქტომბერი. გამოფენის დათვალიერების შემდეგ სლობოდის მაზრის ზოგიერთი გლეხები იმ აზრს დაადგნენ, რომ უმჯობესია გადასვლა დიდმინდვრიდან მეურნეობაზე. ამისთვის ისინი გამოფენიდან გაემგზავრნენ საექსკურსიოდ საოლქო სამეურნეო საცდელ სადგურზე და სახლში დაბრუნებისას შეუდგნენ საკუთარი მეურნეობის გაუმჯობესებას.

სამედიცინო ინსტრუმენტების შეძენა

მოსკოვი. 3 ოქტომ. მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვის ჯანმრთელობის სამმართველოსაგან მიიღო შეკვეთა, რათა საზღვარგარეთ შეისყიდოს 250,000 ოქრო მანეთის სამედიცინო ინსტრუმენტები და პრეპარატები.

„სპარტაკი“-ს დღესასწაული.

ხარკოვი. 3 ოქტომ. 30 სექტემბერს ხარკოვის ახალგაზრდათა „სპარტაკმა“ იდღესასწაულა თავისი არსებობის პირველი წლის თავი. მიტინგზე და კარნავალზე გამოდიოდნენ ეროვნულ ტანისამოსით გერმანელი, ბულგარელი, იაპონელი და სხვა ეროვნებათა ბავშვები.

გერმანიის რევოლიუციის ლოზუნგით.

ეკატერინბურგი. 2 ოქტომ. წითელი არმიის ფიცის დღე ჩატარდა შემდეგი ლოზუნგებით: „გერმანიის რევოლიუციის გამარჯვება“, „კავშირი გერმანიის პროლეტარიატთან“, „მუშათა და გლეხთა კავშირი“.

საოლქო ჯარების უფროსმა გრაჩკოვსკიმ, დაახასიათა წითელი არმიის მნიშვნელობა. მიესალმენ პარტიულ და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღლუმს დაესწრო 4,000-მდე კაცი.

გერმანიის რესპუბლიკის ბრძოლა ფაშისტურ საშიშროების წინააღმდეგ

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. გაზ. „პრავდა“-ს მეთაურ წერილში „გერმანიის რესპუბლიკის ბრძოლა ფაშისტურ საშიშროების წინააღმდეგ“ ამხ. რადეკი ამგვარათ ახასიათებს გერმანიის ამბებს:

„ბავარიაში კარის მეთაურობით ხდება ფაშისტური გადატრიალება. ბერლინის მთავრობამ, გაიგო რა კარის დიქტატორათ გამოცხადება, განაცხადა: „კარგი. სრულიად თანახმა ვართ. უარესი იქნებოდა, რომ დიქტატორათ დანიშნული ყოფილიყო ლიუდენდორფი ან ჰიტლერი“. და არაჩვეულებრივათ გახარებულმა გერმანიის მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა მთელს ქვეყანაში.

აღმასრულებელი ხელისუფლება გადაცემული აქვს სამხედრო მინისტრ ჰესსლერს. მაგრამ ჰესსლერი—მეტათ წყნარი კაცია. სამხედრო მინისტრობის დროს მან ნება მისცა ოფიცრებს კონსპირატიული კავშირი დაეჭირათ ფაშისტურ ორგანიზაციებთან, მთავრობის წინააღმდეგ. სინამდვილეში ჰესსლერი ფარია მაკენზენის შტაბის ყოფილ უფროს, გენერალ სექტისათვის.

გენერალ სექტს მეტათ ჭკვიან კაცათ სთვლიან; ის პრაქტიკული კაცია და იმავე დროს ლიუდენდორფის მტერი. ამრიგათ, ფაშისტების საშიშროების წინააღმდეგ, რომელთაც გენერალი ლიუდენდორფი მეთაურობს, ბავარიაში მოქმედობს ფაშისტი კარი, როგორც სეპარატისტულ მიდრეკილების კაცი, საერთო—გერმანულ მასშტაბით კი—გენერალი სექტი, როგორც ანგარიშის კაცი და ლიუდენდორფის მოწინააღმდეგე.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ „საპერებზე“ არსებული შტრეზემანის მთავრობა ეშვება ფაშიზმისაკენ. მაგრამ ჩვენ ეჭვი გვებადება ასეთ გეგმაში. ბავარიაში ხდება ფაშისტ-სეპარატისტების ბრძოლა საერთო-გერმანულ მიდრეკილების ფაშისტებთან. სეპარატისტებს ეშინიათ, რომ თუ ლიუდენდორფი მოექცა სათავეში, მაშინ ის წაიყვანს თავის რაზმებს ჩრდილოეთზე საქსონიის წინააღმდეგ და დაიღუპება ტიურინგიის ტყეში. მის შემდეგ კი ჩრდილოეთ-ბავარიელი მუშები (გამოტოვებულია)... დაიპყრობენ ძალაუფლებას ბავარიაში. ამიტომ ბავარიელი სეპარატისტები ხელში იღებენ ძალაუფლებას, რომ დაასწრონ ლიუდენდორფს. საჭირო მომენტში ისინი შესძლებენ მასთან შეთანხმებას.

მაგრამ გერმანიის „დემოკრატიული“ მთავრობა არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. ის დღევანდელ დღეს ფიქრობს და მადლობას სწირავს ღმერთს იმისათვის, რომ ლიუდენდორფი ჯერ კიდევ არ გამოსულა, რომელსაც შეეძლო თანაგრძნობა გამოეწვია მთელი გერმანიის ფაშისტებში. უთმობს რა კარს ბავარიაში, გერმანიის მთავრობა შიშობს, რომ ლიუდენდორფის მეგობრები ჩრდილოეთში—გენერალ მაკენზენ, პოლვიცს, ვულლეს, გრეიფეს და სხვებს შეუძლიანთ აჯანყება მოაწყონ ჩრდილოეთში.

გერმანიის მთავრობას ეშინია აგრეთვე იმის, რომ საქსონიის მუშებს, რომელთაც ესმით საით იხრება საქმე, შეუძლიანთ სთქვან: „თუ დასაშვებია თეთრი დიქტატურა სამხრეთში, მაშინ დასაშვებია წითელი დიქტატურა ცენტრში“.

ამიტომ მთავრობამ შემოიღო საალყო წესები და დანიშნა დიქტატორათ: ოფიციალურათ ჰესსლერი, ფაქტიურათ კი—გენერალი სექტი. მთავრობა ფიქრობს, რომ ცუდი დამოკიდებულებანი სექტსა და ლიუდენდორფს შორის და აგრეთვე სექტის ჭკუა შეაჩერებს ლიუდენდორფს ავანტიურისაგან. მუშების წინააღმდეგ სექტი, ალბათ, ომს აწარმოებს. მან შეიძლება ბრძოლა გაუმართოს ფაშისტებსაც, თუ ისინი ნაადრევათ გამოვლენ და იმედი არ ექნებათ გამარჯვებისა.

ამრიგათ იქმნება შტრეზემანის მთავრობის ეს საკვირველი წინააღმდეგობით სავსე მდგომარეობა, რომელიც ეყრდნობა ფაშისტებს იმავე ფაშისტების წინააღმდეგ. ის ნათლად აშკარავებს „დემოკრატიულ“ მთავრობის საკუთარ ძალების უქონლობას და მის ცდას გამოიყენოს ფაშისტების ერთი ჯგუფი მეორეს წინააღმდეგ, რომ ამით ჯერ-ჯერობით თავიდან აიშოროს გადამწყვეტი ბრძოლა“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

გულრიფშის სანატორიუმში

სოხუმი. 29 სექტემ. გულრიფშის ორივე სანატორიუმში ავადმყოფთა მიღება დაიწყო.

დახმარება იაპონიის პროლეტარიატს

სოხუმი. 29 სექტემ. აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომისიამ შეადგინა ცენტრალური კომისია, მიწის ძვრისაგან დაზარალებ იაპონიის პროლეტარიატის დახმარების აღმოსაჩენად.

აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესია

სოხუმი. 29 სექტემ. აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა

ავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

ძვირფასო ამხანაგებო!

ოქტომბერს ჩვენ ვიწყებთ გერმანიის პროლეტარიატის დასა- ლ კამპანიას.

ამად გერმანიაში წარმოებული ამბები მთელი ქვეყნის გუ- ს იპყრობს. როგორ წავა გერმანიის რევოლიუციის საქმე და ევებს მოიტანს იგი, ამაზეა დამყარებული მთელი ბედი საერ- ო კომუნისტური მოძრაობისა.

ის მომენტში ჩვენს გარდუვალს ამოცანას შეადგენს მხარი თ გერმანიის პროლეტარიატს.

მ ნიის პროლეტარიატის დამხმარე კომისია მოუწოდებს ცენ- რ კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის, რ. კ. პ. ამიერ-კავკას. ტის, ცენტრალურ-აღმასრულებელ კომიტეტის, სახალხო კო- ა საბჭოს, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის, ამიერ-კავკა- იუროს სრულ. რუს. პროფკავშირთა საბჭოსი და საქართვე- პროფკავშირთა საბჭოს ყველა წევრებს შემოწირულება შემოი- გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებელ ფონდის სასარგე- გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციაში.

გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტი.

შემოწირულება

გაზ. ,,კომუნისტი‘‘-ს ასოთ-ამწყობებისაგან:

1) კორძაია ტრიფონ 5 მილიონი, 2) რუსიშვილი ილიკო 5 ონი, 3) ჯაბადარი გიორგი 3 მილ., 4) მესხიძე ლევან 3 მილ., ნაძე ვარლამ 3 მილ., 6) ბეჟანოვი გიორგი 3 მილ., 7) ჯორ- ვიქტორ 3 მილ., 8) თავდომაძე დომენტი 3 მილ., 9) წუ- სოლომონ 3 მილ., 10) ედილაშვილი სიკო, 3 მილ., 11) ქარ- ვარლამ 3 მილ., 12) კანდელაკი ივანე 3 მილ., 13) გარსო- მიხეილ 3 მილ., 14) ბოლქვაძე გედეონი 3 მილ., 15) ახალ- ილი ვასო 3 მილ., 16) მეფისაშვილი ფრანცი 3 მილ. 17) ძე ვასო 3 მილ., 18) ხოსროშვილი ივანე 3 მილ., 19) ურუ- ალევა 3 მილ. 20) ელიაძე ალექსანდრე 3 მილ., 21) სალდაძე 3 მილ., 22) დალაქიშვილი ანდრო 3 მილ., 23) კაპანაძე 2 მილ.

ულ 75 მილ.

ულ ძველად შემოსულთან ერთად 4 ჩერვონეცი და 178 მილ.

მზრახათვის მოიწვიოს მორიგ

წითელი ჯვარი

უმი. 1 ოქტომ. ჯანმრთელობის ო კომისარის მოხსენების გამო ეთის სახალხო კომისართა საბ- ადგინა მოაწყოს საქართველოს ლი ჯვრის ფილიალური განყო- ბა. რწმუნებულათ დაინიშნა თელობის სახალხო კომისარი.

შენობა ნავთსადგურისათვის

უმი. 1 ოქტომ. სახალხო კომი- საბჭომ დაამტკიცა კომუნა- მეურნეობის განყოფილების ტი, რომლის მიხედვით აგებუ- და იქნეს სოხუმის ნავთსადგუ- ხალი შენობა, აფხაზეთის გასაბ- ს ხსოვნის აღსანიშნავათ.

აჭარა

ესკადრის მოსვლა

ომი. 29 სექტემ. მოვიდა შავი ს ესკადრა, რომელსაც გაეგებ- მთავრობა, ყველა გარნიზონები, იული და პროფესიონალური ნიზაციები და სხვ.

უქმად გამოცხადდა. ნავთ- ური და ბულვარი გაჩირაღდნე- იყო. ქალაქი ბაირაღებით მო- .

ამოს 6 საათზე მოხდა საზეიმო თიანებული სხდომა ადგილობ- ორგანიზაციებისა.

ალაქის ყველა გასართობებში არ-მეზღვაურები უფასოდ მიიწ-

ექსპორტი და იმპორტი

თომი. 1 ოქტომ. დამთავრდა გე- შედგენა აჭარის ექსპორტისა და რტისათვის. მოხსენება კომისიის ობის შესახებ გაიგზავნა ცენტრ-

აზერბეიჯანი

ოფლ-სამეურნეო გადასახადის აკრეფა.

ახიჩევანი. 29 სექტემ. 28 სექტემ მდე შარურში დასამზადებელ კან- რაში მოზიდეს 500 ურემი სასოფ- სამეურნეო გადასახადისა 40 სო- დან. ასე ერთბაშად მოზიდვის ს გადასახადის მიღება ბანდდება. ჯერობით კანტორამ ჩაიბარა 09 ფუთი ხორბალი, 9,585 ფუ- ქერი და 7 ფუთი ბრინჯი.

ქო. 30 სექტემ. ჯევანშირის მაზ- დღევანდლამდე მიღებულია კან- რაში 54,847 ფუთი ხორბლეულო- მაზრაში ხორბლეულის ფასი შემ- : შამხორის მაზრაში ფუთი 5 ონი, შემახის მაზრაში—5 მილ., ნშირის მაზრაში—3-ნახ. მილ., ს მაზრა—6 მილ., ყარაიაზში— მილ., აღდაშის მაზრაში—5 ნახ.

სექტემბრამდე სულ ჩამოზიდუ- ბაქოში ხორბლეულობა რკინის- 71 ვაგონი. ზღვით 15,200 ფუ-

მეაბრეშუმეობა.

ქათალა. 29 სექტემ. ზაქათალა- სააბრეშუმო ქარხანა მუშაობს, 50 კაცი მუშა-სპეციალისტია. პარკის სიმცირისა გამო ქარხ- გაჩერდა. აზერბეიჯანის აბრე- ს სამმართველო პიის პარკს ჰგზავ- ამოსახვევად ნუხაში, 70 ვერსის ლზე ზაქათალიდან.

სესხი მეთევზეებს.

ენქორანი. 29 სექ. ლენქორანის ის მეთევზე მოსახლეობას შუამ- მლობით აზერბეიჯანის სახელმ- ის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა. ეს მოსახლეობა ძალიან ოკლეთ არის და არ გააჩნიათ ვზაო ხელსაწყო.

ქო. 1 ოქტომ. ამ ბოლო დროს ის ზღვაზე ძლიერი ქარტეხილის ს, 12 ფუტიან რეიდზე მდგარს, თ დატვირთულ გემს „გალი- “ს ღუზა დაეკარგა და მანქანები ალა.

მ „ილმათი“-საც მანქანები მოე- . ეს ორივე გემი 28 სექტემბერს ულეს და ბუქსირით მოიყვანეს ში.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა

ბაქო. 1 ოქტომ. 27—28 სექტემბერს ბაქოდან ასტრახანში გაუტანიათ 763,288 შავი ნავთი, რაკუშიდან ასტრახანში—155,000 ფ., პეტროვსკიდან ბაქოში გროზნის პარაფინის ნავთი—108 ფ., ასტრახანში—77,105 ფუთი.

თეატრი ზაქათალაში

ზაქათალა. 1 ოქტომ. ზაქათალის აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა ახალი თეატრის შენობის აგებას, რომელიც 500 კაცს დაიტევს.

ელექტრონი სოფლად

ბაქო. 1 ოქტომ. ზაქათალის აღმასრულებელ კომიტეტს განზრახვა აქვს ახლო მომავალში ელექტრონი გაიყვანოს გარშემო მდებარე სოფლებში.

ჩაი ბაქოსათვის

ბაქო. 1 ოქტ. ბაქოს ნავთის მრეწველობის სამმართველომ სტამბოლიდან ცნობა მიიღო, რომ მის სახელობაზე გამოუგზავნიათ 900 ფუთი ჩაი. ამას გარდა სამმართველო კიდევ მიიღებს 15 ოქტომბერს 1,100 ფ. ჩაის.

სომხეთი

სომხეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობა.

ერევანი. 2 ოქტომბერი. გუშინ სახელმწიფო თეატრში გაიხსნა სომხეთის ახალგაზრდათა კომკავშირის მე-3 ყრილობა. თეატრი მორთული იყო ფერადებით. ყრილობას 97 დელეგატი და მრავალი პარტიული ამხანაგი დაესწრო. ყრილობა გახსნა კომკავშირის ც. კ-ის მდივანმა ამხ. გუშედინმა. სომხეთის კომკავშირის ც. კ—გან ყრილობას მიესალმა სომხეთის ც. კ—ის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიანი, რუსეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის კომკავშირისაგან—ამხ. ჩაპლინი, წითელარმიისაგან ამხ. ოსეფიანი. არჩეულია პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია. მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი: ს. ს. რ. კავშირის პოლიტიკური მდგომარეობა, ც. კ—ის ანგარიში, განათლების სახალხო კომისრის მოხსენება სოფლათ მუშაობის შესახებ და „იუკების“ შტაბის მოხსენება.

ვრცელი მოხსენებით პოლიტიკურ მომენტზე გამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლუკაშინი, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა გერმანიის და ბულგარეთის ამბებზე. მან აღნიშნა, რომ გერმანიის რევოლიუცია გაიმარჯვებს მიუხედავათ კაპიტალისტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგობისა. ლუკაშინმა თავის მოხსენებაში დასახა კომკავშირის მომავალ მუშაობის გეზი და წინადადება მისცა მას იმუშაოს ფრთხილათ, შეიცნოს მოწინააღმდეგეთა ძალები და გააღრმაოს კულტურული და სამხედრო მუშაობა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მტრის დამარცხება.

ყრილობამ დაადგინა გაუგზავნოს მისალმების დეპეშები ამხ. ლენინს, რუსეთის კომკავშირის ც. კ—ტს, ბაქოს კომკავშირის კონფერენციას, გერმანიის და ბულგარეთის ახალგაზრდათა კომკავშირებს. არჩეულია ორი სექცია—საორგანიზაციო და პოლიტიკურ-განმანათლებელი. პირველ სექციის საკითხთა წრეში შედის: მუშაობა ქალიშვილთა შორის, აღრიცხვა, ინფორმაცია, სისტემატიური დახმარება ფლოტს, მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა და სოფლის დაქირავებულ მუშა-ახალგაზრდობის შორის. მეორე სექციის პროგრამაში შედის. ანტისარწმუნოებრივი აგიტაცია, პრესა და ფიზიკური კულტურა.

ალექსანდროპოლის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობა

ალექსანდროპოლი. 2 ოქტომბერი. გაიხსნა ალექსანდროპოლის ახალგაზრდათა კომკავშირის სამაზრო ყრილობა. ტფილისიდან ყრილობაზე ჩამოვიდა ამხ. ჩაპლინი. შესმენილია მოხსენება მიმდინარე მომენტზე, რომლის გამო ბულგარეთის რევოლიუციონურ მოძრაობასთან დაკავშირებით კონფერენციამ დაადგინა მისალმების დეპეშა გაუგზავნოს ბულგარეთის კომპარტიას.

26-ის ძეგლი

ნოვობაიზეთი. 2 ოქტომბერი. 26-ის ხსოვნის საპატივცემოთ მათი სახელი დაერქვა ახალბაიაზეთის ელექტროსადგურს, რომლის შენება ეხლახან დაიწყო.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის დუშეთის სამაზრო კომიტეტის მუშაობა აგვისტოში

მთავარ ამოცანათ საანგარიშო თვეში მიჩნეული იყო სამაზრო და სარაიონო კონფერენციების ჩატარება, რა სამუშაოც ჯეროვანათ იქნა შესრულებული სამაზრო კომიტეტის მიერ. აგვისტოს 1 რიცხვებიდან შეუდგენ სამზადისს კონფერენციებისათვის. სამაზრო კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წევრები თვითონ დადიოდენ რაიონებში და ხელმძღვანელობდენ სარაიონო კონფერენციების ჩატარებას. 25 აგვისტოს გაიხსნა სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 42 დელეგატი. აღსანიშნავია ის, რომ ასეთი დიდი რიცხვი დელეგატებისა დღემდე დუშეთის მაზრის კომკავშირის არც ერთ კონფერენციას არ დასწრებია. კონფერენციის გახსნის პირველ დღეს წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კავშირს მართლაც მოუპოვებია ისეთი გავლენა და მნიშვნელობა, რომ მას სცნობენ და მფარველობენ ყველა საბჭოთა, პარტიული, პროფესიონალური და ადმინისტრატიული ორგანიზაციები, რაც მიეწერება თვით კავშირის ენერგიულ და გეგმიან მუშაობას.

ასეთია მოკლე საერთო სახე სამაზრო კომიტეტის მუშაობისა აგვისტოში, ეხლა გადავხედოთ რა ხდება რაიონებში.

1) მცხეთის რაიონში არის 8 უჯრედი თითქმის ყოველ უჯრედთან არსებობს პოლიტიკური წრე, რომელშიც სწარმოებს სისტემატიური მუშაობა კოვალენკოს წიგნის მიხედვით. ყველა უჯრედები მოვლილი იქნენ სამაზრო კომიტეტის წევრების მიერ. 5 აგვისტოს შესდგა სარაიონო კონფერენცია, რომელსაც დელეგატებს გარდა, დაესწრო კავშირის ოთხმოცი წევრი. აღსანიშნავია ის რომ უპარტიო ახალგაზრდობის კონფერენციების ჩატარების შემდეგ, კავშირის ავტორიტეტმა ძალიან აიწია, რაც გამოიხატება უპარტიო ახალგაზრდობის მასიურ ლტოლვაში კომკავშირისაკენ. კავშირის ძალებით ჩატარდა აგრეთვე ორი წარმოდგენა.

2) მჭადიჯვრის რაიონში არსებობს ხუთი უჯრედი. არის დაარსებული სამი პოლიტიკური წრე. მუშაობენ აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. კრებები სისტემატიურად მიმდინარეობს. საკმაოდ საერთოდ დისციპლინაც. სარაიონო კონფერენცია აქაც კარგად ჩატარდა. კონფერენციას დაესწრო დელეგატების გარდა კავშირის 75 წევრი.

3) ბაზალეთის რაიონში ხუთი უჯრედია. არის პოლიტიკური წრეები, მაგრამ გარდა ერთისა არც ერთ მათგანში მუშაობა არ სწარმოებდა. ამის მიზეზია ის, რომ მიმაგრებული ამხანაგები კონფერენციების მუშაობაში იყვნენ ჩაბმულნი. სხვა რაიონებთან შედარებით აქ დისციპლინა ცოტა სუსტობს, რისთვისაც განზრახულია შემოწმება—გადასინჯვის ჩატარება. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შეფერხებულია ზაფხულის მიზეზით, ვინაიდან მასწავლებლები დათხოვილი არიან. კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საჰაერო ფლოტის კამპანიის ჩატარებაში. შეგროვილი იქნა საგრძნობი თანხა.

4) რაც შეეხება ანანურ ყანვალის რაიონს, აქ მუშაობა სულ რამოდენიმე თვეა რაც დაიწყო, მაგრამ ისეთი ინტენსივობით, რომ უკვე ძველ რაიონებსაც გაუსწორდა. დაარსებულ იქნა ხუთი უჯრედი, რომლების სხდომები წესიერად მიმდინარეობს. სწარმოებს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. კავშირი მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა აღმშენებლობის დარგშიც. პარტკომთან ერთად აშენებენ ბაღს, გაყავთ წყლის არხი, აწყობენ კლუბს, თეატრს და სხვა, უპარტიო ახალგაზრდობაში სწარმოებს მუშაობა ღია კრებების საშუალებით.

5. საგურამოს რაიონში მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. არსებობს კავშირის ხუთი უჯრედი და ამდენივე პოლიტ-წრე, რომლებშიაც მეცადინეობა ნორმალურად სწარმოებს. კავშირი თავის ძალებით მართავს ფასიან და უფასო წარმოდგენებს.

6. მუხრანის რაიონში მუშაობა გამოცოცხლდა. არსებობს ხუთი უჯრედი და არის პოლიტიკური წრეებიც. ჩატარდა სარაიონო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 70-ზე მეტი ამხანაგი. ჩვენი კავშირის პოლიტწრეებში მეცადინეობენ უპარტიოებიც. დამოკიდებულება სხვა დაწესებულებებთან კარგია.

7. ფასანაურის რაიონში მუშაობა მოიკოჭლებდა ინსტრუქტორის სისუსტის გამო, მაგრამ, სამაზრო კომიტეტის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების შემდეგ, მუშაობა იქაც გამოკეთდა. კავშირის ძალებით მოწყობილ იქნა წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეგზავნა სამაზრო კომიტეტს. კავშირი პარტკომთან კარგია. საერთოდ ეხლა მუშაობა ადგას გაუმჯობესება-გამოცოცხლების გზას.

8. ყაზბეგის რაიონში არის ოთხი უჯრედი. მუშაობის წესიერად წარმოებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ კავშირის წევრები არიან ხშირად მწყემსები, რის გამო უმთავრეს დროს ისინი მთაში ატარებენ. საკლუბო მუშაობა კავშირისა კარგად მიმდინარეობს. მოსალოდნელია ზამთარში მუშაობის გაუმჯობესება. საერთოდ მუშაობას ხელს უშლის სამაზრო ცენტრთან სიშორე, რის გამო პრეზიდიუმის წევრები ვერ დადიან ისე ხშირად რაიონში.

საერთო დასკვნა: ორგანიზაცია შესდგება 47-უჯრედისაგან, რომლებშიც განაწილებულია 600-წევრი. მიღებულია ზომები, რათა რაიკომის მდივნები იყვნენ ორგანიზაციებში უფრო მომზადებული ამხანაგები. კავშირი მაზრკომისა ადგილებთან კარგია. სამაზრო კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წევრები დადიან და ეცნობიან ადგილების მუშაობას და უწევენ სათანადო დახმარებას და ხელმძღვანელობას. საკმაოა აგრეთვე ცირკულიარების და დირექტივების მიწოდებაც,

იოკშენ.

ა.-კავ. საქონლის-საფონდო ბირჟების წარმომადგენელთა კონფერენცია

მომავალი მუშაობის გეგმა

ამხ. ჩხენკელის მოხსენება

მომავალში სავაჭრო და საფონდო ბირჟის მოწყობის გეგმის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩხენკელი, რომელიც ამბობს, რომ ეს საკითხი გულისხმობს ჯერ ერთი იმ აპარატების გაუმჯობესებას და გამარტივებას, რომელნიც უკვე არსებობენ და მეორე ახალ საბირჟო აპარატების მოწყობას, მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო ოპერაციების გასაძღოლად. სავაჭრო განყოფილება უნდა გახდეს ბირჟის მთავარი ცენტრი; რაც შეიძლება ფართოთ უნდა გავრცელდეს მისი მოქმედება და მიღებულ უნდა იქნას გაბედული ზომები, რათა დაევალოს ყველა სამეურნეო, სახელმწიფოებრივ, საკრედიტო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მხოლოდ ბირჟის საშუალებით აწარმოვონ ყოველგვარი ოპერაციები. შემდეგ საბირჟო გარიგებათა რეგისტრაცია უნდა იქნას ჩაყენებული უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე ბირჟის გარეშე გარიგებათა რეგისტრაცია, ამასთანავე ამ უკანასკნელისათვის უნდა დაწესდეს რაც შეიძლება დიდი სარეგისტრაციო გადასახადი. ყველა დიდ ცენტრებში უნდა. მოეწყოს ე. წ. გამარტივებელი ბირჟები, რომელნიც დაექვემდებარებიან ან ადგილობრივ უმაღლეს ეკონომიურ ორგანოს, ან ტფილისის ცენტრალურ ეკონომიურ საბჭოს. გამარტივებული ბირჟა უნდა შესდგებოდეს სამი პირისაგან: ბირჟის გამგის, ერთი დალალის და ერთი რეგისტრატორისაგან, რომელნიც სამსახურს გაუწევენ ადგილობრივ სავაჭრო-სამრეწველო წრეებს. ზოგიერთ ადგილებში, მაგ. საქართველოში, საიდაც მოჰყავთ აბრეშუმის პარკი, ღვინო, სიმინდი, უნდა იყოს ერთი აგენტი, რომელიც თვალყურს ადევნებს საქონლის ტრიალს. ასეთი აგენტები საჭიროა ახალციხესა, ფოთსა და სამტრედიაში. ამ აგენტებს მჭიდრო კავშირი აქვთ ცენტრალურ ბირჟებთან, და აცნობებენ ამ უკანასკნელებს კვირაში ორჯერ ფასების ცვლილებას და ამით დაახლოვებენ პროვინციას ქალაქთან. ავიღოთ კიდევ ფრიად მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტები შავი-ქვა, აბრეშუმი, და სხვა. რომელნიც უნდა დაუახლოვდენ ბირჟას და ამ უკანასკნელს უნდა მოსდიოდეს დაწვრილებითი ცნობები სათანადო სამმართველოებისაგან სწორი ინფორმაციისათვის.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა ბირჟასთან იმყოფებოდეს საექსპორტო კომისია, რომელიც მოაწყობს ინფორმაციას დიდ ბირჟებსა და ადგილობრივ აგენტებს შორის საბირჟო ბიულეტენების საშუალებით, რომელშიაც უნდა იქნას აღნიშნული ბირჟის და ბირჟის გარეშე გარიგებანი, საქონლის მოძრაობა რკინის გზაზე, ტარიფები და სხვა. საბირჟო ვაჭრობის გამოსაცოცხლებლად საჭიროა იმართებოდეს საბირჟო კრებები სულ მცირე თვეში ერთხელ. საჭიროა აგრეთვე ვალიუტის გამოცვლელ დუქნების მოხსნა და ბოლოს საარბიტრაჟო კომისიების შედგენა, რომელთა გადაწყვეტილებას ექნებათ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა.

დასკვნაში მომხსენებელი ლაპარაკობს ბირჟის რეკონსტრუქციის და პრეზიდიუმსა და საბირჟო კომიტეტის შორის ფუნქციების განაწილების შესახებ და აყენებს დებულებას უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს სასწრაფოთ მოწყობის შესახებ, რომელიც მეტად საჭიროა და აგრეთვე მას საჭიროთ მიაჩნია ამიერ-კავკასიის ბირჟების ბიუროს დაარსება, რომელმაც უნდა განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ შეიძლება თვითეულ ბირჟის ვიწრო ჩარჩოებში.

ამხ. ჩხენკელის მოხსენების შემდეგ კონფერენცია იხილავს ორ პრინციპიალურ საკითხს: ამიერ-კავკასიის ბირჟების წარმომადგენელთა ბიუროს მოწყობის და პრეზიდიუმისათვის უფრო მეტი უფლებების მინიჭების შესახებ; დანარჩენი საკითხები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის საქმესთან, კონფერენციამ გადასცა საქონლის სექციას.

ამხ. ჩხენკელის წინადადებით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) მოეწყოს ბირჟის კომიტეტთან პრეზიდიუმი და ყველა მიმდინარე საკითხები, რომელნიც ბირჟაზე აღიძვრიბა, გადაიჭრას ამ პრეზიდიუმში. ბირჟის კომიტეტის კრება უნდა იმართებოდეს თვეში ერთხელ და, აგრეთვე, თვეში ერთხელ უნდა იმართებოდეს ბირჟის წევრთა საზოგადო კრება. პრინციპიალურ ხასიათის საკითხებს პრეზიდიუმი გადასცემს გადასაწყვეტად ბირჟის კომიტეტს; 2) ამიერკავკასიის ბირჟების ბიუროს სხდომა მოწვეულ იქნას სამ თვეში ერთხელ, ყოველ ბირჟიდან თითო წარმომადგენლის შემადგენლობით. ამ ბიუროს ცენტრი მოეწყოს ტფილისში ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის და ბირჟის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ტფილისის საბჭოს სექციებში

კომუნალურ მეურნეობის სექციაში

2 ოქტომბერს შესდგა კომუნალურ განყოფილების სექციის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა:

მოხსენება ტრამვაის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ტრამვაის დირექტორმა ამხ. იორამაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის ტრამვაი აშენებული იყო 1904 წელში და იმ დროიდან დღევანდლამდის თითქმის სრულებით არ ყოფილა შეკეთებული. მხოლოდ მისი მშრომელთა ხელში გადასვლის შემდეგ მიღებულ იქნა ზომები მის შესაკეთებლათ და აღსადგენათ. შეკვეთილი იყო საზღვარგარეთ აუცილებელი ნაწილები. შეკვეთის დიდი ნაწილი უკვე მიღებულია.

ტრამვაის მდგომარეობა ამჟამად ასეთია:

მოძრავი შემადგენლობა. ინვენტარის მიხედვით მოტორიან ვაგონების რიცხვი უდრის 134, მისაბმელ ვაგონთა რიცხვი კი—28. აღნიშნულ რაოდენობიდან მოძრაობაშია 38 მოტორიანი და 15 მისაბმელი ვაგონი, მარქაფში 8 მოტორიანი და 1 მისაბმელი ვაგონი.

გზები. ტრამვაის ხაზის უმრავლესობა დაძველდა. გზების რემონტისათვის არ არის სრულებით რელსები და ამიტომ იმ მიზნით, რომ გადარჩენილ იქნეს ვაგონები დამტვრევისაგან გაფუჭებულ გზებზე მოგზაურობის დროს, დაწყებულია ყველაზე უფრო გაფუჭებულ გზების აყრა და ხელახლა დაგება; ყველა რელსების დახეთქილი ბოლოები მოჭრილია.

მავთულები. მავთულებიც ცუდ მდგომარეობაშია, როგორც საჰაერო, ისე მიწის ქვეშითა და მათი შეცვლა ზოგიერთ ხაზებზე ქალაქის ცენტრალურ ნაწილში აუცილებელია, მაგრამ ჯერ ჯერობით გადადებულია საშუალებათა უქონლობის გამო.

ელექტრონის სადგური მოწყობილია ორთაჰალის მანქანების კომპლექტით, 650 ეფექტიურ ძალის სიძლიერით თვითეული და ერთ დიზელით, რომლის სიძლიერე უდრის 350 ცხენის ძალას. მანქანები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ტრამვაის მუშაობა. კონკრეტიულ წარმოდგენას ტრამვაის მუშაობის შესახებ იძლევიან შემდეგი ციფრები; 1923 წ. იანვრიდან აგვისტომდის ვაგონ-დღეთა რიცხვი უდრის 10.937; ყველაზე მეტ ციფრას თვეში 1469 იძლევა აგვისტო; ამ დროის განმავლობაში გადაყვანილია 9.753.549 მგზავრი; გადაყვანილთა ყველაზე მეტი რიცხვი მოდის ივლისზე. ერთდროულ და წლიურ ბილეთების გაყიდვისაგან აღებულია 316 420 მან. ოქროთი, ყველაზე მეტი შემოსავალი იყო აგრეთვე ივლისში.

რემონტი. 1923 წლის განმავლობაში ტრამვაის სახელოსნოების მიერ გარდა ნაწილების დამზადებისა და მიმდინარე რემონტის წარმოებისა გამოშვებულია გენერალურ რემონტიდან 32 მოტორიანი და 11 მისაბმელი ვაგონი. ცენტრალურ სადგურზე გენერალურათ შეკეთებულია ორი ორთქლის მანქანა.

წარმოებული იყო გზების ხელახლა დაგება და კონტაქტის გასინჯვა. პლეხანოვის პრ. და საბაჟოს ქუჩაზე გამოცვლილ იქნა საჰაერო ქსელის ყველაზე უფრო გაცვეთილი კონტაქტიური მავთული.

ტრამვაის შემოსავალი და გასავალი. ტრამვაის შემოსავლის საერთო თანხა გამოიხატება 325.130 მანეთში ოქროთი, აქედან ერთდროულ ბილეთების გაყიდვისაგან შემოვიდა 295503 მან., წლიურ ბილეთებიდან —20.917 მან., გაცემულ ენერგიიდან 3.297 მან., შესრულებულ შეკეთებიდან 5.471 მან.

დახარჯულია 276.811 მან. ოქროთი, აქედან პირადი შემადგენლობის შესანახად 173.430 მან., სათბობ მასალაზე 74.045 მან., მასალების შესაძენად 38.550 მან.

მომავალი სამუშაოები. ტრამვაის სადგურზე გენერალური რემონტი უნდა გაუკეთდეს მესამე ორთქლის მანქანას და სახურავები უნდა გამოეცვალოს დიზელს. დახეთქილ ბოლოების ჩამოჭრით განზრახულია რემონტი გაუკეთდეს გზებს: რუსულსა და დიდი ვანქის ქუჩებზე, ელისაბედის ქუჩაზე პარტიულ სახლიდან ბელგიის ქუჩამდი, მუშტაიდის შესახვევში და ლენინის ქუჩაზე.

ამას გარდა სახელოსნოებში დაჩქარებით მთავრდება 6 ვაგონის აშენება ხორცის გადმოსაზიდავად სასაკლაოდან.

პ. ქ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(3 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	54,500
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	48,700
ჩეკები —	45,500
დოლარები ეფექტ. —	11,100
„ ჩეკები —	10,300
ოსმ. ქაღ. ლირა	6.450
იტალიური ლირა	335
ფრანგული ფრანკი	495
საბჭ. ფულის ნიშნები	13 ნახ.

მუშკოპის ფასები.

(2 ოქტ.)

პური 1 ხარ.—320 ათ., პური 2 ხარ.—200, ძროხის ხორცი—1 მილ., ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფინადი—2,690, ფხვნილი შაქარი—2,270, მაკარონა—900, ბრინჯი აღდაშის—580, კართოფილი—105.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(2 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—350—400 ათ., პური 2 ხარ.—250, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფ.—2700—2750 ათ., ფხვნილი შაქარი—2300, მაკარონი—950, ბრინჯი აღდაშ.—650, კართოფილი—125 -150.

ბირჟის მიწოდება.

(2 ოქტომბ.)

ფხვნილი შაქარი, ტყის მასალა, ლურსმნები, იტალიური მანუფაქტურა, კრასნოდარის მაკარონი, მარსელის საპონი, სალომასი, გოგირდი, რუს. მანუფაქტურა, მატყლი, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს. საპონი 1 ხარ. „პეტუხ“ და სხვ. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის, ბორჯომის კანიფოლი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ.

ბირჟის მოთხოვნილება.

(2 ოქტომბერი)

აბრეშუმი დაურთავი, ტომრები, ელექტრონის ლამპიონები, ასანთი რუს. რკინეულობა, ნედლი ტყავეულობა, მარილი ნახიჩევანის და ბახმუტის, სიმინდი და სიმინდის ფქვილი.

ოფიციალური გარიგებანი

(2 ოქტომბ.)

პორტლანდის ცემენტი 13 მან. 25 კ. ჩერვ. ბოჭკაზე ფრანკო—ბათომი ვაგონი.

საქონლის ბირჟის განწყობილება

(2 ოქტომბერი).

2 ოქტომბერს ხორბლის და პურეულის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა, ტეხნიკური ცხიმების ბაზარზე სუსტი, დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

1 ოქტომბრის განმავლობაში ბირჟის გარეშე დადებულია 14 გარიგება, სულ 44359 მან. ჩერვ. თანხისა.

ამიერ-კავკასია-სპარსეთის შერეული, სავაჭრო-სატრანზიტო საზოგადოება

საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მოიწონა ამიერ-კავკასია-სპარსეთის სავაჭრო სატრანზიტო შერეული საზოგადოების, (ზაკპერსის) წესდების პროექტი. ამ საზოგადოების უფლებებს და ამოცანებს შეადგენს: საკავშირო რესპუბლიკების ბაზრებზე სხვადასხვაგარ საქონლის შეძენა, სპარსეთში გატანა და იქ გასაღება; და აგრეთვე სპარსეთიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სპარსეთის საქონლის შემოტანა, გარდა აკრძალულ საქონლისა.

ევროპის ბაზარზე საქონლის გასასაღებლად სხვადასხვა ოპერაციების წარმოება; უბაჟოთ სპარსული საქონლის ტრანზიტი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიით ევროპაში და უკან; თავის საწყობებში სპარსეთიდან ჩამოტანილ საქონლის შენახვა წინასწარი საბაჟო გადასახადების გადაუხდელად.

წესდების პროექტის განხილვაში მონაწილეობას იღებდა სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელი ს. ს. რ. კავშირში:

პროფკავშირებში

სხვადასხვა კავშირებში.

მეტალისტთა კავშირის ფონდები.

1 აგვისტოდან დაარსდა ურთიერთ დახმარების კასა, სადაც ცენტ. გამგეობის ცდით დღიდან დაარსებისა ჩაწერილია წევრად კავშირის წევრთა 90 პროც.

მოქმედობს უმუშევართა ფონდი, საიდანაც დახმარება ეძლევათ ყველაზე უფრო გაჭირვებულ უმუშევარ მეტალისტებს.

მედ.-სანიტ მუშათა ყრილობა.

სრულიად რუსეთის მედ.-სანიტ. კავ. ც. კ პლენუმისა და სრულიად საქართველოს მედ.-სანიტ. მუშაკთა ყრილობის ერთს და იმავ დანიშნულ დროს მოხვედრის გამო, საქ. მედ-სანიტ. მუშაკთა ყრილობა 10 ნოემბრისთვის გადაიდო.

ფიზკულტურა.

სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭომ მოაწყო ლექციები ფიზიკურ კულტურის შესახებ კავშირთა წევრებისათვის.

მუშათა მასების ფიზიკური აღზრდისათვის გადაწყვეტილია ზემოხსენებულ სფეროში სპეციალისტების მოწვევა.

ანარიცხების შემცირების შესახებ.

ს. მ. უ. ს. ეკონომიურ განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ს. პ. კ. ს. წინაშე დამზღვევ კასაში შესატან პროცენტ. ანარიცხების შესახებ. ს. პ. კ. ს. სამდივნომ დაადგინა შეადგინოს სპეც. კომისია ს. პ. კ. საბჭოს შრ. სახ. კომ., დაზღვევის კასის ს. მ. უ. ს ეკ. განყოფილებების წარმომადგენელთაგან საჭირო მასალების შესაგროვებლად და საკითხის დეტალურად განსახილველად.

კომისია მუშაობის დამთავრების შემდეგ ს. პ. კ საბჭოს პრეზიდიუმს თავის დასკვნას წარუდგენს.

„ახალგაზრდა მარქსისტების“ ჯგუფის

მოწოდება

თელავის მაზრის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ეგრედ წოდებული „დემოკრატია“ დღეს უკვე ჩიხში მოწყვდეული, ერთხელ კიდევ უკანასკნელად ადასტურებს თავის არარაობას. პარლამენტარული გზა და დოქტრინალური, ერთხელ და სამუდამოდ იხდის ნიღაბს და მშრომელი ხალხი დგება ფაქტის წინაშე.

რუსეთის და კერძოთ საქართველოს „დემოკრატიზმის“ ხელმძღვანელების ნაწილი, რომელიც ვერ იკისრებდა ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას, ღრმა ანალიზის შემდეგ მივიდა ლოღიკურ დასკვნამდე: მარქსიზმის რევოლიუციონური ბუნება მოითხოვს შესაფერ ნაბიჯს—პროლეტარულ დიქტატურას, რაც სინამდვილემ სავსებით გაამართლა.

იმ დროს, როდესაც ჩვენი მოწინავე რევოლიუციის ტალღებში გამობრძმედილი უფროსი ამხანაგები სტოვებენ ძველ ხავსმოდებულ გზას და ირაზმებიან პროლეტარულ რიგებში, ჩვენი რევოლიუციონური სინდისი არ გვაძლევს ნებას ხელდაკრეფილი ვუცქიროთ ამ დიად პროცესს.

ამხანაგებო! ახალგაზრდობა, ეს მომავალის იმედია; ჩვენი მარქსისტული ახალგაზრდობა კი მშრომელთა სიამაყეა. მაგრამ ჩვენდა სავალალოთ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, სრულებით ჩამოვშორდით მის ინტერესებს. რუსეთის დიდი რევოლიუციის გაკვეთილებმა სხვა, რელიეფურათ ჩასახული გზები დაგვანახვა სოციალიზმისაკენ. ძნელი გახდა ბრძოლაში, რევოლიუციის ქარტეხილში, სწორი გზის გარჩევა და ჩვენც საუბედუროდ ჩავიძირეთ ოპორტიუნიზმის ჭაობაში. როდესაც რევოლიუცია მოითხოვდა ჩვენგან შეთანხმებულ მოქმედებას დარაზმულ მტრების წინააღმდეგ, მაშინ ზურგი ვაქციეთ პროლეტარიატს და მხარი მივეცით მის მტრებს.

დღეს კი საჭიროა ჩვენი გონებრივი გამოფხიზლება და გაჯანსაღება მით უმეტესი მაშინ, როდესაც ჩვენმა უფროსმა ამხანაგებმა, საამისოდ უკვე პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს. და კიდეც გაისმის გამოფხიზლებულ ახალგაზრდობის გამოძახილი საქართველოს ყოველ კუთხეებიდან. ჯერი დღეს ჩვენზე მოდგა და ეს ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ გავამართლებთ ჩვენზედვე დამყარებულ მშრომელთა იმედებს.

ამხანაგებო! ისტორიულმა აუცილებლობამ დაგვანახვა დემოკრატიზმის, როგორც მმართველობის ფორმის, სრული შეუსაბამობა პროლეტარიატის ინტერესებთან. მე-2-ე ინტერნაციონალის ოპორტიუნიზმმა, გაურკვევლობამ და სიბეცემ, ცდამ სოციალიზმის განხორციელებისა დემოკრატიზმის გზით, ხელი შეუწყო, ნიადაგი მოუმზადა ერთა შორის, შურსა და მტრობას, ბურჟუაზიის გამაგრებას. ბრძოლა გაძლიერდა მე-3-ე ინტერნაციონალის წინააღმდეგ, რომელიც ერთად ერთი თავდებია-საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვებისა.

ამხანაგებო! ჩვენ კვლავ მოგვიწოდებს რევოლიუციონური ზარის გუგუნი. დღეს მაინც უნდა უარვყოთ ფანატიზმი, რომლითაც ამდენ ხანს ვიყავით შეპყრობილი. ჩვენი ვალია ერთად დავირაზმოთ მტრის წინააღმდეგ ახალგაზრდა კომკავშირთან ერთად მთლიანი ფრონტის შექმნით მე-3-ე ინტერნაციონალის კომუნისტურ დროშის ქვეშ.

ძირს ფაშიზმი! ძირს კაპიტალიზმი გაუმარჯოს მე-3-ე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ჩვენს დიად მიზანს-სოციალიზმს!

კონფერენცია მოწვეულია 30 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, კარლ ლიბკნეხტის სახელობის კლუბში.

ყოფილ-ახალგაზრდა მარქსისტთა თელავის სამაზრო კონფერენციის მომწვევი საინიციატივო ბიუროს წევრები: **1) კიმოთიძე 2) დიასამიძე 3) მდივნიშვილი 4) ნანუკაშვილი 5) მინდორაშვილი.**

მეცნიერება და ტექნიკა

საჰაერო სადგურები

თანამედროვე დირიჟაბლები ვეებერთელა სიგრძე-სიგანის არიან და ამიტომ მათთვის გარაჟებისა და ანგარების აშენება ძალიან ძვირათ ჯდება. მაგრამ გარდა ამისა დირიჟაბლის ჩამოშვებაც ზოგიერთ საშიშროებას წარმოადგენს, რადგან მიწასთან ახლო ჰაერის ტალღები ცვალებადია. მიიღეს რა ეს მხედველობაში ამერიკელებმა ანგარების ნაცვლად მაჩტები შემოიღეს.

მაჩტა წარმოადგენს დიდსა და რგვალ ლითონის მილს, რომლის შიგნით ზევით და ქვევით მოძრაობს ლიფტი. სწორეთ ეს ლიფტია მიწისა და დირიჟაბლის შუა მიმოსვლის საშუალება. ლიფტით აიყვანება კომანდა დირიჟაბლზე; მისივე საშუალებით დირიჟაბლს აწვდიან ყოველგვარ საჭირო მასალებსა და სანოვაგეს.

უდიდესი ლამპა მსოფლიოში

ელექტრონის განათების ერთერთ ამერიკულ კომპანიის ყრილობაზე წარმოდგენილი იყო უდიდესი მთელს მსოფლიოში ელექტრონის სანათური 60.000 სანთლის ძალისა. ეს ბუმბერაზი სანათური დამზადებული იყო კინოსურათების გადაღებისათვის. სანათურის შუშის ბურთს 12 დიუმის სიგანე აქვს და 18,5 დიუმის სიმაღლე. სანათურის ძალა ნაანგარიშებია 120 ვოლტზე და 250 ამპერზე. მავთულს სიგანე აქვს ერთი მეათედი დიუმისა და 93 დიუმის სიგრძის. სანათურის შიგნით იგი წარმოადგენს 4 პარალელ სპირალს.

მცურავი ქალაქი

ფრანგ ძმებმა ლე-პარმენტერებმა გამოიმუშავეს პროექტი 15 სართულიან გემისა—100.000 ტონით. გემს შეუძლია ატაროს 20.000 მგზავრი.

15 პალუბიდან 10 მოწყობილია ვატერხაზის ქვემოთ. ყოველ პალუბაზე გაკეთებული იქნება სასეირნო დერეფანი. გემის სისწრაფე ორჯერ აღემატება თანამედროვე უდიდეს საოკეანო გემის სისწრაფეს. ახალი გიგანტი 2-ნახ. დღის ვადაში გადალახავს ატლანტის ოკეანეს. გემზე მთელი რკინის გზის მატარებლები მოთავსდება. გემისათვის საჭირო იქნება მოსამსახურეთა მთელი არმია—4.000 მეზღვაური.

ამ გემის ერთადერთი ნაკლია ის, რომ გემი ვერსად ვერ იპოვის ნავთსადგურს. მისთვის საჭირო სიღრმის ნავთსადგური არ არსებობს არც ევროპაში და არც ამერიკაში.

ქრონიკა

— **ანატომიური მუზეუმი.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კომისარიატმა დაათვალიერა ყოფ. სანტრუსოვის ანატომიური მუზეუმი. კომისიამ მუზეუმის ექსპონანტები დაიწუნა და თვით სანტრუსოვის მუზეუმის საქმე გადასცა სასამართლოს.

— **მშრომელი სტუდენტები.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა მშრომელი სტუდენტებათ ჩაითვალოს ის სტუდენტები, რომელნიც ეკუთვნიან მშრომელთა ნაწილებს, რის შესახებაც სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო მოწმობები.

— **შრომის ბირჟა.** 2 ოქტომბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 583 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—141, გაიგზავნა სამუშაოზე—81 კაცი.

— **სიმინდის გაზიდვა საზღვარგარეთ.** ცეკავშირმა ფოთის ნავთსადგურით საზღვარგარეთ სარეალიზაციოთ გაგზავნა ერთი გემი სიმინდით დატვირთული.

— **ნავთსადგურის სახელოსნო.** 26 კომუნარის დახოცვიდან ხუთი წლის შესრულების აღსანიშნავად, ფოთში მოხდა საზეიმო გახსნა ნავთსადგურის სახელოსნოსი. სახელოსნო საუკეთესოდ არის მოწყობილი.

— **საფეიქრო ქარხანა ქუთაისში.** უმაღლეს მეურნეობის საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა.—კ. სახ. კომისართა საბჭოს, რათა ქუთაისის საფეიქრო ქარხანას გაუხსნას სესხი 3,500 ჩერვონეცის რაოდენობით.

— **ლიტერატურის გავრცელების** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ სომხეთის სახელგამს გადასცა 250 ჩერვონეცი ლიტერატურის ხელმისაწვდომ ფასებში გასავრცელებლათ.

— **გადასახადის ცვლილება აღმოსავლეთ საქართველოში.** რესპ. საგადასახადო კომისიამ დაადგინა, ფულადი გადასახადი ფუთზე აღმოსავლეთ საქართველოში შესცვალოს შემდეგნაირათ: ტფილისის და ბორჩალოსთვის ფუთ ხორბაზე—6 მილ. მან. ახალციხისთვის—5 მილიონი, გორისთვის—4,500,000 მან., სიღნაღ-თელავ, ახალ-ქალაქის და სამხრეთ-ოსეთისთვის—4 მილ., დუშეთის და თიონეთისთვის 3 მილ.

— **მოსავლიანობის ხარისხის დაწესება დასავლეთ საქართველოში.** მოსავლიანობის ხარისხის დაწესება დასავლეთ საქართველოსთვის მოხდება ახლო ხანში საჭირო ცნობების შეგროვების დასრულებისთანავე.

— **ლექციები სანიტ-განათლებაზე.** საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებამ დაადგინა ჯანმრთ. სახ. კომისარიატთან არსებულ სანიტ-განყოფილების დახმარებით ყველა დაბა ქალაქებში მოაწყოს სანიტარულ განათლებაზე ლექციები ცოცხალი სურათების ჩვენებით.

— **რუსთაველის თეატრის დუქნები.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით რუსთაველის თეატრის ყველა მაღაზიები გადაეცა განათლების სახ. კომისარიატს, იმ პირობით, რომ გაქირავებულ დუქნებიდან შემოსული ფული მოხმარდება მხოლოდ ამ თეატრის შენობის შეკეთებას და საჭიროებას.

— **ბორჯომის წყალი.** საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით ბორჯომის წყლის სარეალიზაციოთ დაწესებულ იქნა სპეციალური კომისია ამხ. ამხ. ქოქიკაშვილის, ვაშაძის და დუმბაძის შემადგენლობით.

შემთხვევები.

— აფთიაქის გაქურდვა. მე-7 სამილიციო უბანში 1-ლ ოქტომერს გაქურდეს მე-10 საბჭოთა აფთიაქი, საიდანაც წაიღეს რამოდენიმე მილიარდის საქონელი.

— მგზავრების გაძარცვა. 25 სექტ. ბანდიტებმა გაძარცვეს მგზავრები სოფ. გუდაურაზის მცხოვრებნი ახალშენის მახლობლათ.

— ქურდის შეპყრობა. სახელმწიფო ექსპორტ-იმპორტის სავაჭროში ბაგდან სარაჭალალოვმა კანტორიდან მოიპარა ფულიანი პორტფელი, ქურდი იქვე შეიპყრეს

მუშათა ცხოვრება

ქალ. ალმასკომის წყალსადენში

(ალმასკომის საყურადღებოდ)

28 სექტემბერს ყიფშიძის სახლის მდგურებმა (ვაკეში) შეიტანეს წყალსადენის სალაროში წყლის ფული. მიუხედავად ამისა მეორე დღეს, 29 სექტემბერს, აღნიშნული სახლის წყალსაზომი დაკეტილ იქნა და აგერ მეშვიდე დღეა, რაც მას არ აღებენ. ამრიგად, ოთხმოცდაათამდე მუშა-მოსამსახურე შვიდი დღის განმავლობაში უწყლოდაა დატოვებული. ეს პირველი შემთხვევა არ არის ქალაქის წყალსადენის მოქმედებაში. ამას წინადაც წყალსადენის განყოფილება სწორედ ასე მოგვექცა: 31 აგვისტოს ჩვენ მიერ შეტანილ იქნა წყლის ფული, მეორე დღეს წყალსაზომი დაკეტეს, ხოლო გააღეს 5 სექტემბერს. არც მაშინ აპირებდენ წყალსაზომის გაღებას, რომ სამჯერ არ მივსულიყავით განყოფილებაში და კატეგორიულად არ მოგვეთხოვა უკანონოდ დაკეტილ წყალსაზომის გაღება.

გაგვაგებინოს წყალსადენის განყოფილებამ, რაშია საქმე.

ნუ თუ მას ნორმალურ მოვლენად მიაჩნია ის, რომ რამოდენიმე ათეული საბჭოთა მოსამსახურე უწყლობით დაიტანჯოს? დროა ბოლო მოეღოს ასეთ უწესოებას და პატიოსან მოქალაქეთა აბუჩად აგდებას.

საბჭოთა მოსამსახურე.

მთლიანი მუშათა კოოპერატივი

ოთხშაბათს, 26 სექტემბერს ამხ. თოთიბაძის თავმჯდომარეობით მუშკოპის სათეატრო დარბაზში შესდგა ამავე კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხი: 1) იაპონიაში კატასტროფისაგან დაზარალებულ პროლეტარიატისადმი დახმარება; 2) ადგილობრივი კულტ-უჯრედის მოხსენება და მიმდინარე საკითხები. იაპონიის დახმარების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლეპეკა. მოხსენების შემდეგ კრებამ უკამათოდ და ერთხმად მიიღო დაეხმაროს იაპონიის დაზარალებულ მშრომელ ხალხს დღიური ჯამაგირის ნახევრის რაოდენობით. ექვსი თვის კულტურული მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ტეხნიკური სეკრეტარი ამხ. კედროვი. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, კულტ მუშაობას დიდი ყურადღება ჰქონია მიქცეული ადგილობრივ კომიტეტისაგან. აქ მოწყობილია მშვენივრად მორთული აუდიტორია სცენით და ახალი დეკორაციებით. არსებობს სამ ენაზედ დრამატიული წრეები: ქართული, რუსული და სომხური ამხ. მარკოზოვის ხელმძღვანელობით. დაარსებულია მეცნიერული სექცია, სადაც მონაწილეობას იღებენ თვით გამგეობის წევრებიც, არსებობს აგრეთვე ჟურნალისტების კურსები მუშკორებისათვის; მოწყობილია საკუთარი სკოლა, სადაც გარდა ქართული ენის არა მცოდნე ამხანაგებისა, სწავლობენ კიდევ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებიც. აღნიშნულ სკოლაში მასწავლებლების როლს ასრულებენ ადგილობრივი ძალები; აქვე მოწყობილია სამკითხველო, სადაც მოიპოვება გარდა ადგილობრივი გაზეთებისა, რუსეთის გაზეთებიც. კულტუჯრედს მხოლოდ ვერ მოუწყვია ამ სოფელში ვერც ერთი ექსკურსია სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაგრამ მომხსენებელი შეჰპირდა კრებას ამ ნაკლის გამოსწორებას ამ მოკლე ხანში. კრებაზედ გამოირკვა, სხვათა შორის, ისიც, რომ დაბალ მოსამსახურეებს მცირე ჯამაგირი აქვთ, რისთვისაც წარდგენილია ადგილკომის მიერ ახალი ტარიფი გამგეობაში განსახილველათ, რომლის პასუხსაც ამ დღეებში მიიღებენ ჩვენი მუშები. მომხსენებლებმა კრებას მოუწოდეს შეძლებისდაგვარად შეიძინოს ოქროს მომგებიანი სესხის ობლიგაციები და ჩაეწერონ ამხანაგები საჰაერო ფლოტის საზოგადოების წევრებად, კრებამ კულტუჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნო და მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

მუშკორი მკ-ლი ნიკო.

ტფილისის საქონლის სადგურის მუშებში.

რა მდგომარეობაში იყვნენ ტფილისის საქონლის სადგურის მუშები? მდგომარეობა აუტანელი იყო; ჯამაგირი მშრალა პურის საყიდლადაც არ ჰყოფნიდათ. რკინისგზის სადგურებში მომუშავენი მოკლებული იყვნენ რკინისგზელების უფლებებს. ასე გადიოდა დროა ამათი კვერი ვერ ცხვებოდა. გასულ 10 აგვისტოს მასიურ კრებაზე გადაწყდა ამ მუშების ტრამოტიდან განთავისუფლება და რკინის გზაში გადარიცხვა, რომელიც დაადასტურა „ცეკამ" და პროფკავშირმა, მაგრამ ორი თვის განმავლობაში ვერ მოხდა მაინც შეთანხმება სატრანსპორტო კავშირის და გზის უფროსს შორის. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში რკინის გზამ დაუთმო მოიჯარადრე ტრამოტას მუშებისთვის 180 სასურსათო ბილეთი, თვეში ერთი ფუთი ნავთი და შეშა რკინისგზელების ნორმათ და ეს 1.200 მუშა ისევ ტრამოტის ხელში დასტოვა ამ წლის ბოლომდე. ნათქვამია „ყვავს კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო". დასასრულ რკ. გზის სამმართველომ და ტრამოტამ, რომ ეს მაინც გაიმეტა მუშებისთვის, ესეც დიდი საქმეა, მაგრამ ესეც ცეკას ძალდატანებას მიეწერება, ვიდრე ამათ მუშებისადმი თანაგრძნობას და გულკეთილობას.

მუშკორი დამცველი.

საამშენებლო კავშირის მუშათა ცხოვრებიდან.

ამ კავშირის მუშების კულტურულ მდგომარეობას ძალით აფერხებს ერთი გარემოება. 90 პროცენტი ამ მუშებში არის აისორი მუშები. მათ არ იციან იმ ენაზე წერა-კითხვა, რომელ ენებზედაც ტფილისში გამოდიან ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები. ვინაიდან ისინი ტფილისში არსებული გაზეთების გადაკითხვის საშვალებას მოკლებულნი არიან, ამიტომ ამ მხრივ ინტერესიც ძალიან ცოტა აქვთ, რითაც აიხსნება ის სამწუხარო გარემოება, რომ 300-მდე მუშას (საამშენებლო კავშირის ჩუღურეთის რაიონში) გამოწერილი აქვს მხოლოდ ორი გაზეთი.

რა ქნან ამ მუშებმა? როგორ გათვითცნობიერდენ და განვითარდენ ისინი, როდესაც მათ არა აქვთ სამშობლო ენაზე ლიტერატურა და პრესა?

როგორც ამავე მუშების საუბრიდან სჩანს, საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე მათ ჰქონიათ ტფილისში საკუთარი დედა ენაზე აისორული ორგანო. მუშები ძალიან დაინტერესებული არიან და არც რაიმე წვლილის გაღებისათვის დაიხევენ უკან, თუ როგორმე მოხერხდება მათ ენაზე რაიმე ორგანოს გამოშვება.

ალმშენებელთა კავშირმა უნდა მიიღოს ყოველივე საშვალებები, ზომები პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილების საშვალებით გამოუშვას, თუ ყოველდღიური არა, პატარა ფორმების, ყოველ კვირეული აისორული გაზეთი. ეს იქნება უდიდესი კულტურული ღვაწლი ჩვენი აისორ მუშებისადმი, რომელთაც ამ მხრივ დიდი მისწრაფება აქვთ.

მუშკორი მ. ა.

ცეცხლის მქრობელ რაზმში.

25 სექტემბერს მოხდა არსენალის რაიონის ცეცხლის მქრომელი რაზმის მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო:

1) მოხსენება საჰაერო ფლოტზე; 2) მოხსენება მომგებიანი სესხას ბილეთების შეძენის შესახებ; 3) მიმდინარე საკითხები. საჰაერო ფლოტის და მომგებიან სესხის ობლიგაციების შეძენის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შეველიევმა, რომელმაც მოკლედ განმარტა საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა როგორც შინაგან ვაჭრობა-მრეწველობის და კულტურის აყვავებაში, აგრეთვე საგარეო მტრების დამარცხებაში. ამ ამხანაგებმა აგრეთვე გააცნეს რაზმის მოსამსახურეებს, თუ რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს მუშებს მომგებიან სესხის ბილეთების შეძენას ჩვენი ფულის ნიშნების კურსის განმტკიცების მხრივ. ამხ. შეველიევმა მოუწოდა ამ რაზმის მოსამსახურეებს ჩაეწერონ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრებად და აგრეთვე შეიძინონ მომგებიანი სესხის ბილეთები. მოხსენების გამო კრებამ ერთხმად დაადგინა ჩაეწეროს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრებად და აგრეთვე შეძლებისდაგვარად შეიძინონ მომგებიანი სესხის ბილეთებიც. შემდეგ კრება მიმართავს ამიერ-კავკასიის ყველა ცეცხლისმქრობელ რაზმის მოსამსახურეებს ჩაეწერონ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრებად და შეიძინონ მომგებიანი სესხის ბილეთებიც.

მუშკორი ლოშქარ.

ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში

აქ ამ დღეებში შესდგა საგადასადო განყოფილების მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) საჰაერო ფლოტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ელისაბედაშვილი; 2) ადგილკომის მუშაობა; 3) საურთიერთო კასის შესახებ; 4) ადგილკომის არჩევნები; 5) შრომის კომისიის არჩევნები. ამხ. ელისაბედაშვილმა მოკლედ და მარტივად ახსნა საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოსთვის და მოუწოდა თანამშრომლებს, მიიღონ მონაწილეობა მის გაძლიერებაში.

მოხსენების შემდეგ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია. რეზოლიუციაში კრება აუცილებელ საჭიროებად სცნობს წითელ საჰაერო ფლოტის გაძლიერებას და ფიცსა სდებს შეუწყოს ამ დიად საქმეს ხელი. შემდეგ ამხ. ჭიპაშვილი აკეთებს მოხსენებას ადგილკომის მუშაობის შესახებ, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ადგილკომი ენერგიულად მუშაობდა მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავად ეკონომიურ დარგებში. რისთვის კრება მადლობას უცხადებს ადგილკომს. ამხ. ღლონტმა მოხსენება გააკეთა საურთიერთო დამხმარე კასის შესახებ; კრებამ დაადგინა დაარსოს სასურსათო დამხმარე კასა, რის სასარგებლოდ თავისი ჯამაგირის 2 პროცენტი გადასდვეს. შემდეგ ამხ. ელისაბედაშვილი ესალმება საშეფო კომისიას და უსურვებს მას ენერგიულ მუშაობას ქალაქსა და სოფელს შუა მტკიცე კავშირის შექმნაში, დაბოლოს კრება გადადის არჩევნებზე და ადგილკომში ირჩევენ შემდეგ ამხანაგებს: პრედიტს, ყურუაშვილს, ყარაშვილს, მიქაძეს, ხოშტარიას, მასარიას და ჭიპაშვილს; იქნა არჩეული აგრეთვე შრომის კომისია და ამით კრება დამთავრდა.

ინფორ. მათიკო მიქაძე.

ხელოვნება

პროლეტარულ მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორშაბათები.

პირველ ოქტომბერს ხელოვნების სასახლეში გაიმართა ჩვეულებრივი ლიტერატურული ორშაბათი პროლეტარულ მწერალთა კავშირისა.

საღამოს დაესწრო კავშირის წევრები და აგრეთვე საკმაო რიცხვი გარეშე საზოგადოებისა.

საღამო გახსნა ამხ. ი. ვაკელმა მოკლე სიტყვით, რომელშიაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ორშაბათების მნიშვნელობა.

მომხსენებლად პროლეტარულ პოეზიაში „შინაარსი და ფორმა"-ზე გამოვიდა ნ. ზომლეთელი.

მან ჯერ მოკლედ განმარტა მწერლობის რაობა, შემდეგ კი გადავიდა თემაზე და ნათლად გაარკვია ფორმისა და შინაარსის ურთიერთ დამოკიდებულება; მოხსენება შინაარსიანი იყო.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო: მ. გოგიბერიძემ, კალანდარიშვილმა, ვასაძემ, დუდუჩავამ, კ. მეგრელიძემ და ი. ვაკელმა.

საბოლოვო სიტყვაში მომხსენებელმა უფრო ნათლად დაასაბუთა თავისი დებულებები.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს ორშაბათობა მეტის-მეტ ნაყოფს მოუტანს კავშირს საკუთარ ძიებაში და ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოების წრის გარშემოკრებას. ვუსურვებთ კავშირის გამგეობას, რომ ის საქმიანი მუშაობა, რომელიც დაიწყო მან, ნაყოფიერად განაგრძოს მომავალში.

მარჯანი.

— **„სამხატვრო სათათბირო".** მთავარ სახელოვნო კომიტეტთან დაარსდა „სამხატვრო სათათბირო", რესპუბლიკის მასშტაბით ხელოვნების საკითხების გასარჩევათ, შემდეგი შემადგენლობით: (ანბანით) აბაშელი ს., არაყიშვილი, ახმეტელი დ, გაფრინდაშვილი ვ., გრიშაშვილი ი., გუნია ვ., დადიანი შ., დუდუჩავა შ., იაშვილი ვ., ინგოროყვა მ., კალაძე რ., მარჯანიშვილი კ., მაყაშვილი კ., მიქაძე ა., ნიკოლაძე ი., ტაბიძე ტ., ფალიაშვილი ზ., ქიაჩელი ლ., შევარდნაძე დ. და ჩუბინიშვილი გ. პირველი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 7 საათზე სახ. განათ. კომ. შენობაში.

— **სახალხო კონცერტი.** კ. ფოცხვერაშვილის სახალხო კონცერტი, რომელიც უნდა შემდგარიყო „ახალ წრეში", 27 სექტემბერს, გაიმართება უფრო ფართო პროგრამით ახლო მომავალში იმავე „ახალი წრის" თეატრში, გაყიდული ბილეთები გამოდგება.

კონცერტი იმართება ქართული ხალხური სიმღერების ჩასაწერ და გამოსაცემ ფონდის შესაქმნელად.

პროვინციაში

ქ. ჭიათურა

ა. წ. 20 სექტემბერს ქ. ჭიათურის თეატრში გაიმართა დიდი საჯარო კრება, 26 კომუნარის და 5 წლის თავის აღსანიშნავად.

კრება იხსნება „ინტერნაციონალით". დარბაზი გაჭედილია ხალხით. სცენა მორთულია დაღუპული გმირების სურათებით, აგრეთვე სხვადასხვა მაღაროების მუშებისაგან მათი ხსოვნისათვის მიძღვნილი დროშებით. კრებას ხსნის შორაპნის მაზრის პარტკომის პ. შ. მდივანი ამხ. ა. ქავთარაძე.

თავის სიტყვაში მან აღნიშნა ბაქოს რევოლიუციონური წარსული, კომუნის დამყარების ისტორია ბაქოში, დაახასიათა 26 კომუნარის გმირული მოღვაწეობა და მოუთხრო კრებას მათი დაღუპვის ამბავი, ინგლისის იმპერიალიზმის აგენტის ჯალათური ხელით და მოღალატე შემთანხმებელ პარტიების დახმარებით.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ადგილობრივი ხელისუფლების სახელით: ამხ. ტ. მგალობლიშვილმა და პროფკავშირის სახელით: ამხ. დ. მაჭარაშვილმა.

დასასრულ, ამხ. გ. კიკნაძის წინადადებით კრებამ დაადგინა გაეგზავნოს შესაფერი დეპეშა აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას.

კრება დაიხურა „ინტერნაციონალით" საღამოს 8 საათზე.

ტანელი

ხიდის საჭიროება მდინარე ცხენის-წყალზე

მდ. ცხენის-წყალი ყოფს იმერეთს სამეგრელოდან.

სამეგრელოს მცხოვრებთ, რომლებიც მოსახლეობენ ცხენის-წყლის ახლო, მჭიდრო კავშირი აქვთ ქალ. ხონის ბაზართან, მაგრამ მათ ხელი ეშლებათ ცხენის-წყალზედ ხიდის უქონლობით.

დღევანდელ პირობებში მდ. ცხენის-წყალზედ გლეხებს უხდებათ გასვლა ბორნით, მაგრამ ბორანზედ გასაყვანი ფულის გადახდა მათ ძალიან ემძიმებათ.

მაგალითად, დედა-კაცი მიდის ხონის ბაზრობაზე, მიაქვს რამოდენიმე ათეული კვერცხი გასაყიდათ, რათა სამაგიეროდ შეიძინოს: სპიჩკა, მარილი, საპონი და სხვა წვრილმანი, ოჯახისათვის საჭირო საგანი. მაგრამ კვერცხის ღირებულება უხდება ბორანს. ასეთი გარემოება ცუდ პირობებში აყენებს აქაურ გლეხობას.

ადგილობრივ ორგანიზაციებმა და გლეხთა საბჭოებმა მიაქციეს ყურადღება ამას და გამოაქვთ შესაფერისი დადგენილებანი, სადაც აღნიშნულია: გლეხები თავის თავზედ ღებულობენ ხიდის აგების დროს: მუშა ხელის დაკმაყოფილებას; გარდა სპეცებისა, ხიდის მასალების გადაზიდვას, თუ ეს საჭირო დარჩება, ხე-ტყის დამზადებას ახლომელ რაიონებში, თუ მთავრობა იკისრებს თავის თავზედ ხიდის აგებას.

ნახახულევის თემის (ქუთაისის მაზრა) გლეხკაცობა და საბჭოც არ ჩამორჩა ასეთივე დადგენილებას და თავის მორიგ კრებაზედ ა. წ. ენკენისთვეს დამდეგს აღფრთოვანებით შეეგება სხვა თემების გამოძახილს და დასდო სიტყვა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ხიდის აგებაში.

ქიტაშვილი.

სამტრედია

აქაური საბავშვო ბაღის მოსაწყობად უკვე გადაცემულია ხონის ქუჩაზე დიდი ეზო სახლით. საბავშვო ბაღის ხარჯთ-აღრიცხვა გადაეცა აღმასკომს და ის, საკუთარი ძალით იქნება თუ ვისიმე დახმარებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ საქმის მოაგვარებს.

სამწუხაროა, რომ თეატრის შენობა ეხლა საჭიროებს შეკეთებას; კედლები ძალზე დაზიანებულია და თუ ყურადღება არ მიექცა, შეუძლებელი იქნება იმით სარგებლობა.

ერთი რამ მეტად მნიშვნელოვანი გვაკლია, სახელდობრ—ბულვარი. წინაპრებს არც ამისთვის შეუწუხებიათ თავი. შუაგულ ქალაქში, თეატრის შენობის ირგვლივ, საკმაოდ დიდი თავისუფალი ადგილია, რაიც აღმასკომის და კერძო პირთა კუთვნილებას შეადგენს. ვიდრე ჩასახლებას მოასწრებდენ, უნდა დავასწროთ შემოვფარგლოთ და ეხლავე მოუმზადოთ ნიადაგი მომავალ ბულვარს, თორემ ბოლოს „თითზე კბენანი" გვიან იქნება.

ხანი.

ხ. ხაშმი (გარე-კახეთი)

ეს სოფელი მისდევს უმთავრესად მეურნეობას, კერძოდ მევენახეობას აქ თვალსაჩინო ადგილი უკავია.

ებრძვის რა ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ადგილობრივი მეურნე სრულიად უძლურია წინააღმდეგობა გაუწიოს ისეთ ბუნებრივ მოვლენას, როგორიცაა სეტყვა. სეტყვა უკანასკნელ 3—4 წლის განმავლობაში საშინელ ზიანს აყენებს ადგილობრივ მეურნეს.

ეს ბუნებრივი უბედურება დაატყდა ხალხს მიმდინარე წლის გაზაფხულის დამდეგს, რამაც აუარებელი ზიანი მიაყენა ხაშმელებს: გაანადგურა 133 დესეტინა ვენახი და ამოდენივე ფეხის მოსავალი. ამ უბედურებამ ამასთან ხელი შეუშალა ბევრ საგულისხმო საქმის დაყენებას. მიუხედავათ ამისა, ადგილობრივ პოლიტწრის საბჭოს და ზოგიერთ მოწინავე პირების მიერ გადადგმულია ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც გამოიხატება ერთ-ერთ უმთავრეს გზის ქვით მოფენაში. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია და მის დასამთავრებლად საჭიროა 320 მან. ოქროთი. ამ ხარჯის ნაწილს, 120 მ. იღებს თავის თავზე ინჟინერი გოგი ქვლივიძე. არ შეიძლება აქ არ აღინიშნოს ამ პატიოსან ადამიანის დიდი ღვაწლი ამ საქმის დაწყებაში. თითქმის მთელი ინიციატივა და ხელმძღვანელობა ეკუთვნის ინჟ. გოგი ქვლივიძეს, რომელმაც როგორც საკუთარის შრომით, ისე ფულით მისცა საშუალება ხალხს მიეღწია გულის წადილისათვის. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავათ გაჭირვებისა, ხალხი არ ივიწყებს სკოლის შეკეთებასაც, რაც უჯდება 600,000,000 მან. ამ მხრივ მთავრობაც ეხმარება და გაღებულია 400,000.000 მან.

ერთი დიდი ხნის ოცნება და ჯანმრთელობისათვის ფრიად საჭირო რჩება ხაშმელს განსახორციელებელი—ეს არის წყაროს წყლის გამოყვანა.

ხაშმის საზოგადოებას გადაწყვეტილი ჰქონდა დიდიხანია ამ საქმის დაბოლოვება, მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა, რევოლიუციამ და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გამუდმებულმა სეტყვამ არ მისცა მას საშუალება თავის ოცნება სისრულეში მოეყვანა. ამ მხრივ ხაშმს ესაჭიროება დიდი დახმარება და განსაკუთრებით მთავრობისა. სასურველია ამ საქმის მალე დაწყება და დამთავრება.

დროებითი ხაშმელი.

ზუხუთის თემი (გურია)

სოფ. ზუხუთი დაშორებულია ქალ. ლანჩხუთზედ 1 ნახ. ვერსით. ს. ზუხუთი გაშენებულია რკინისგზის გასწრივ და უჭირავს თვალსაჩინო ალაგი. ეს სოფელი განიყოფება სამ ნაწილად: ზედა-ზუხუთი, გორის გვერდი და ზუხუთი. ზუხუთში მოთავსებულია ცენტრი. აქ არის სამკითხველო, რომელიც დღემდის იმყოფებოდა უწეო მდგომარეობაში და გაზეთიც არ მოდიოდა სისტემატიურად. მაგრამ ადგილობრივმა მუშაკებმა მიაქციეს ამას ჯეროვანი ყურადღება და მოუწოდეს სხვადასხვა პასუხისმგებელ ამხანაგებს გაუწიონ მათ დახმარება და გამოუწერონ ჟურნალ-გაზეთები. უნდა ითქვას, რომ ამხანაგებმაც ყური ათხოვეს ამ მოწოდებას და შეძლებისდაგვარად ყველამ გაუწია დახმარება. მოსკოვიდან ჩამოტანილია სხვადასხვა სურათები ჩვენი ლიდერებისა. მხოლოდ სამკითხველოს ესაჭიროება შეთეთრება და ამ მხრივათაც მიღებულია საჭირო ზომები. ამას გარდა ზუხუთში არსებობს სახალხო სახლი, რომელიც გადაკეთებულია ეკლესიის შენობიდან. ეს შენობა სავარგისია ამ მიზნისათვის, მაგრამ ის ჯერ მოუწყობელია. არსებობს შიგ სცენა. დეკორაცია თითქმის არ არის.

ზუხუთში ინტელიგენტური ძალები საკმაოდ მოიპოვება, მაგრამ მათ შორის არ არსებობს მჭიდრო კავშირი და საკმაო ინიციატივა, რომ გაუწიონ საჭირო ხელმძღვანელობა კულტურულ საქმეებს. არის სცენის მოყვარეთა ჯგუფი, შემდგარი ახალგაზრდობისაგან, რომლებიც ძლიერ გულგრილად ეპყრობიან სცენას. ეს ჯგუფი გამოდის სცენაზედ სრულიად მოუმზადებელი, რეპეტიციას ან სრულიად არ გადიან, ან და რეპეტიციის გავლის დროს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას როლის და პიესის შინაარსს. იდგმება სრულიად უშინაარსო, დახავსებული პიესები, რომელთაც არ შეუძლიათ დღეს დააკმაყოფილონ მასის სულიერი მოთხოვნილებანი. სასურველია ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ეს ნაკლი იქმნას გამოსწორებული.

სასწავლებლის შენობების მხრივ ზუხუთი ძლიერ მოიკოჭლებს. არ არის საკმაოდ შენობები სკოლებისათვის. არსებობს გორის გვერდში ქვის მოზრდილი შენობა, მაგრამ საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. ფანჯრები დამტვრეულია, ბუხრები გაფუჭებული, კარებს საკეტავი არ აქვს და სხვა. აქ არსებობდა წიგნთსაცავი სასწავლებლისათვის, მაგრამ ახლა არ მოიპოვება არც ერთი წიგნი.

ზედა ზუხუთში არის პატარა ხის შენობა სასწავლებლისათვის, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ცენტრში კი ჯერ-ჯერობით სრულიადაც არ არსებობს სასწავლებელი. თუმცა ოცდა ხუთი წელი იქნება მას შემდეგ, როცა აქ დაიწყეს აგება ვეებერთელა ქვის შენობის, მაგრამ არ იქმნა და დღემდის ვერ მოხერხდა მისი დამთავრება. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მხრივ გაუწია ამ სოფელს შეძლებისდაგვარად დახმარება, თვით ადგილობრივი მცხოვრებლები შეუდგენ საქმეს ერთსულოვნათ და დღეს შენობა გაკეთებულია ორ სართულიანად და უკვე დახურულია, შიგნით კი ჯერ გაუწყობელია, საჭიროებს დიდ თანხას და ადგილობრივ მცხოვრებლებში მისი შეგროვება კი შეუძლებელია. ადგილობრივმა მუშაკებმა გადასწყვიტეს მოაწყონ საღამო-ალეგრო—ფონდის გასაძლიერებლად და საერთო კრებაზედ ხალხმა აღუთქვა მათ ყოველივე დახმარება საღამოს მომგებიანად ჩატარებაში. იგზავნება მოწოდებები სხვადასხვა ქალაქებში, რომ გაუწიონ დახმარება ამ დიად საქმეში.

ხ. ბზეკალავა.

მადლობა უჩინარ მუშაკებს

(წერილი რედაქციის მიმართ)

სახელ. სანატორიუმში მყოფი კომუნისტი-ავადმყოფები გამოსთქვამენ თავიანთ პროლეტარულ მადლობას უჩინარ მუშაკების, სანატორიუმის უმცროსს პერსონალისადმი—მომვლელი ქალის მარუსია ვიზიანცის, ტასო სერგეევას, აიკანუშ ფირუმოვის, ელეონორა პეტრაკკას, მოწყალების დის ბრიფის, და-ძმის ებრაელიძეებისადმი.

მადლობა ასეთ მუშაკებს მათი მოვლისა და ავადმყოფ ამხანაგებზე ზრუნვისათვის, რაც განსაკუთრებით ძვირფასია საერთო საკურორტო ცხოვრების ფონზე.

ამხანაგების მონდობილობით

მოსე ცხოიძე.

აბასთუმანი
29 სექტემბერი 1923 წ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამ.-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წლის სექტემბრის 27.

მარტივი სალერბო გამოსაღების განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1923 წლის აგვისტოს 22-ს თარიღის დადგენილების („ზარია ვოსტოკა" № 201, 1923 წლის სექტემბრის 2) შესაცვლელად, 100,000, 160,000, 600,000 და 1.000.000 მან. (ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით) მარტივი სალერბო გამოსაღების განაკვეთთა ნაცვლად—შემოღებულ იქნეს ამა გამოსაღების განაკვეთი, ჩერვონეცის ანგარიშით და დაწესდეს 5 კაპეიკი, 10 კაპ., 75 კაპ. და 1 მან. და 25 კაპეიკი.

2. უფლება მიეცეს ამიერ-კავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დააწესოს ხოლმე ყოველთვიურად 1-სა და 15-ს რიცხვს კოეფიციენტი, რომლით გამრავლება სალერბო გამოსაღების განაკვეთისა განსაზღვრავს ამა გამოსაღების განაკვეთის რაოდენობას ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ბ. თალიბლი.

დადგენილება № 109.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამსახურეთათვის სპეციალური და პერსონალური განაკვეთის დასაწესებლად კომისიის დაარსების შესახებ.

1. იმ მიზნით, რათა მოწესრიგებულ და შეთანხმებულ იქნეს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ უწყებებში საკითხი უმაღლესი კვალიფიკაციის მომუშავეთა სპეციალური და პერსონალური განაკვეთის შესახებ, დაარსდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შრომის სახალხო კომისარიატთან საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ყველა უწყებისათვის სპეციალური და პერსონალური განაკვეთის შესათანხმებელი განსაკუთრებული კომისია—შრომის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს, დაინტერესებულ უწყებისა და სათანადო კავშირის წარმომადგენლების შედგენილობით და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

2. ხსენებულ კომისიის კომპეტენციაში შედის: ა) დაწესებულ სახელმწიფო მაქსიმუმისა ფრგლებში საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ყველა უწყებისათვის სპეციალური და პერსონალური განაკვეთის შეთანხმება, ბ) სახელმწიფო მაქსიმუმზე ზევით სპეციალური და პერსონალური განაკვეთის დაწესების გამო წინასწარი დასკვნა, გ) სახ. კომ. საბჭოში დასამტკიცებლად წარმოდგენა, როგორც მაქსიმუმის ფარგლებში, ისე მაქსიმუმის ზევით დაწესებული და შეთანხმებული სპეციალური და პერსონალური განაკვეთისა.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ყველა უწყებას დაევალება დაწესებული სპეციალური და პერსონალური განაკვეთი შეუთანხმოს აღნიშნულ კომისიას, ამასთანავე დაწესებული განაკვეთი ძალაში შედის და მისი მიხედვით ანგარიში გასწორებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ კომისიის დადგენილების დამტკიცების შემდეგ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალრიძე.

1023 წ. ოქტომბრის 2.
ტფილისი-სასახლე.

დებულება სასამართლოში საქმეების დამცველთა კოლეგიისა.

(გაგრძელება)

დანართი 1.

ნიხრი.

სახელმწიფო და კერძო საწარმოოთ მუშებისა და საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეების დამცველთა გასამრჯელოსი.

1. სამოქალაქო საქმეზე შუამდგომლობისათვის პირველ ინსტანციაში დამცველს გასამრჯელო ეძლევა სარჩელის ფასისამებრ:

უკეთუ თანხა 5,000 მანეთამდე (ოქროთი) 5 პროც.

უკეთუ თანხა 10.000 მანეთამდეა" (ოქროთი) პირველ 5.000 მანეთში 200 მან. ოქროთი.

დანარჩენში 3 პროც.

უკეთუ თანხა 10.000-დან 30.000 მანეთამდეა პირველ 10.000 მანეთში 400 მან. ოქროთი.

დანარჩენში 2 პროც.

უკეთუ თანხა 30.000-დან 50.000 მანეთამდეა პირველ 30.000 მანეთში 750 მან. ოქროთი.

დანარჩენში 2 პროც.

უკეთუ თანხა 50.000-დან 75.000 მანეთამდეა პირველ 50.000 მანეთში 1.000 მან. ოქროთი.

დანარჩენში 2 პროც.

უკეთუ თანხა 75.000-დან 100.000 მანეთამდეა პირველ 75.000 მანეთში 1.500 მან. ოქროთი.

დანარჩენში 1 პროც.

უკეთუ თანხა 100.000 მანეთზე მეტია პირველ 100.000 მანეთში 2.000 მან ოქროთი.

დანარჩენში 1 პროც.

2. მეორე ინსტანციაში შუამდგომლობისათვის დამცველს ეძლევა პირველ მუხლშ. აღნიშნული გასამრჯელოს მესამედი.

3. სამედიატორო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის დამცველს ეძლევა იმდენივე რამდენიც ეძლევა პირველ ინსტანციაში შუამდგომლობისათვის.

4. უკეთუ საქმე აცილების გამო მოისპობა, დამცველის პირველ მუხლში აღნიშნული გასამრჯელო შემცირებულ უნდა იქნეს ნახევრად.

5. ისეთ საქმეში, რომელიც დაცვის წესით წარმოობს ან რომლის შეფასებაც არ შეიძლება, დამცველს ეძლევა არა უმეტეს 100 მანეთისა.

6. დამცველის გასამრჯელოს ოდენობა სისხლის სამართლის საქმეში დაცვისათვის განისაზღვრება დამცველისა და მისი მარწმუნებელის შეთანხმებით, იმის და მიხედვით, თუ რამდენათ დიდია და რთული თვით საქმე, მაგრამ ამასთანავე ეს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 მანეთს ოქროთი იმ დღისათვის ოფიციალურად დაწესებული კურსით, ხოლო უკეთუ დამცველი და მისი მარწმუნებელი ვერ შეთანხმდებიან, გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება დამცველთა კოლეგიის დებულების 17 მუხ. წესისამებრ.

7. დამცველს უფლება აქვს მარწმუნებელისათვის მისი კუთვნილი ფულის გადაცემისთანავე ამ ფულიდან აინაზღაუროს საქმის წარმოების დროს გაწეული ხარჯი და დაიჭიროს ის გასამრჯელო, რომელიც მას ეკუთვნის ხელშეკრულებით ან, თუ იგი არ დადებულა, ნიხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უკეთუ დაქირილ
ლის რაოდენობის გამო, მარწმუნებელ
ვას დაიწყებს, ეს ფული წარდგენილ
იქნეს ოლქის სასამართლოში.

8. [illegible] გათ
დე საკმაო საბუთის უქონლად უარ
[illegible]
მე შერიგებით მოისპობა, მოვალეა
ყოფილოს დამცველი, თუ შეთანხმებ
რილობითი არა ყოფილა, ნიხრით,
როგორც მოგებული საქმისათვის.

იუსტიციის სახალხო კო
მოად. ბ რ ო დ

1923 წ. სექტემბრის 17.
ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდა

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნ
მიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს, სამი დღის განმავლობაშ
მოცხადდენ საუბნო კომიტეტში დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე, საალფ
ბარათების შესავსებად.

გამოცხადდება სავალდებულოა.

1. ჯიოევი გაბრიელი მ. 2. გრუზდოვი პორფილე ი. 3. კუჭუაშვილი მიხეი
ბაბაიანცი ანაიდა არ. 5. ბუგასი პავლე.

გამოუცხადებელი ამხანაგები მოიხსნებიან მე-4 საუბნო კომიტეტის აღრიც
და გადაეცემიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მე-4 უბნის საალრიცხვო—სასტატისტიკო განყოფილების გამგე ი ს ა კ ო ვ

ამხანაგების მობილიზაცია.

— საქართველოს კ. პ. ტ. კ—ტი მობილიზაციით იწვევს ქვემოთ დასახელ
ამხანაგებს მე-3 რაიონში პოლიტიკურ წერა-კითხვის გამოცდისათვის:

1. რასულ-ზადე 2. ისმაილოვი მუსა. 3. ჰუსეინოვი, 4. თალიბლი, 5. ალი-ია
6. ბუნიათ-ზადე, 7. ალი-ტაგი-ზადე, 8. შირვანსკი, 9. მარკარიან სუმბათ, 10. მარ
არშაკ, 11. სურხატიან, 12. კასიან, 13. თუმანიან აშოტ, 14. კოსტანიან, 15. ერზ
16. ვართაპეტიან, 17. მიასნიკოვი, 18. სააქიანი აშოტ, 19. ალაგარდიან, 20. ვანციან
ტაშეს, 21. ალაჯალოვი, 22. შავერდოვა, 23. ერქომაიშვილი, 24. თალაკვაძე ისი
25. თალაკვაძე სევასტი, 26. მამულაიშვილი, 27. რუხაძე, 28. კურულოვი, 29, საყ
ლიძე, 30. დუდუჩავა, 31. ელისაბედაშვილი, 32. ხაჭაპურიძე, 33. პოლისი, 34. ესე
35. ესენი ა. 36. მედვედევი, 37. პენიაკოვი, 38. გინდინი, 39, დიმონტი, 40. გურსკი
ავაქოვი, 42. ფრანგულიანი, 43. ამირალოვი, 44. ორახელაშვილი მარიამი, 45. იგნა
46. კრუბლიკოვი, 47. ლიბახი.

დასახელებულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ შემოვიდენ მე-3 რაიონის კო
ტში (კახეთის მოედანი) პარასკევს, 5 ოქტომბერს, დღის 4 საათზე.

ტფ. კ—ის მდივნის მაგიერ გოლდბაუმი.

ტფ. კ—ის საგიტ.-საპროპ. გ—ის გამგე მ. ეხენი.

პროფესიონალური

განათლების მუშაკის სახლში.

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, დილის 11 საათზე სკოლის გარეშე განათლების მ
კის სახლში (ალექსანდრეს ბაღი, ყოფილი პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა, სართ
მესამე) დანიშნულია ს ა კ ლ უ ბ ო სექციის სხდომა. აუცილებლად საჭიროა, რათა ყ
მუშაკი საკლუბო ასპარეზზე გამოცხადდეს დანიშნულ დღეს.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული არჩილ ხოფრომის ძე იაშვილი ძმისწულებით: გალაქტიონ, გიორგი და ვალენტინათი, ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა. წ. აგვისტოს 28-ს სოფ. სომიწოში (რაჭა) უეცრად გარდაცვლილ ძვირფასი და დაუვიწყარი, პირველის მეუღლის, ხოლო დანარჩენთა ბიცოლას

ფეოდოსია დავითის ასულ იაშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, ოქტომბრის 7-ს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 11 საათზე.

1253—2—1

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ გრძელდება

მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზე

ხელის მოწერა ოქტომბრის თვის განმავლობაში.

ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე ექსპედიციის კანტორაში, რუსთაველის პროსპექტი № 26 დილის 9 საათიდან დღის პირველ საათამდის.

ექსპ. გამგე ჩეჩელაშვილი.

ბათომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 15 ოქტომბერს დღით 12 საათზე კომუნალური მეურნეობის შენობაში დანიშნულია წერილობითი

საჯარო შეჯიბრება

იჯარით გაცემისა 7 წლის ვადით კომუნალურ მეურნეობის კუთვნილ სახლის (ყოფილი სასტუმრო ფრანცია ტროცკის ქუჩა), რომელიც შესდგება სარესტორანო შენობიდან მოწყობილობით და 28 საცხოვრებელ ოთახებიდან ავეჯეულობით.

მსურველებმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 12 საათისა დღით 15 ოქტომბერს ამა მიმდინარე წლის წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში კომუნალური მეურნეობის სახელზე წარწერით „სასტუმრო ფრანციას" იჯარით გამცემ კომისიას.

განცხადებასთან უნდა იყოს შემდეგი დანართები:

1) ბარათი სახელმწიფო ბანკის კომუნალური მეურნეობის მიმდინარე ანგარიშზე 30 ჩერვონცის შეტანისა.

2) ხელწერილი მაზედ, რომ თუ წარმოდგენილი პირობები იქნება მიღებული და კონტრ აგენტი უარს განაცხადებ ხელის მოწერას ხელშეკრულებაზე ერთი კვირის ვადაში დღიდან მისი დამტკიცებისა, შემოტანილი საწინდარი რჩება კომუნალური მეურნეობის სასარგებლოდ და პირობა ჩაითვლებ გაუქმებულად.

3) საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ პირადობას და რწმუნება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთა პირების. შემოტანილი საწინდარი იმ პირის, რომლის წინადადება იქნება მიღებული, დარჩება როგორც ასეთი და ამას გარდა პირობის შეკვრის დროს აღნიშნული საწინდარი უნდა იქნას შევსებული 10 პროცენტამდე ხელშეკრულების სრული თანხიდან.

ფასები უნდა იქნას განცხადებული ჩერვონცებით. განცხადებები უნდა იქნას გადახდილი სალერბო გადასახადით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე კომუნალურ მამულების ქვე-განყოფილებაში.

კომუნალურ მეურნეობის გამგე **ვ. ჩაჩბა.**

კომუნალურ მამულების განყოფილების გამგე **კანდელაკი**

საქმეთა მმართველი **ბელქანია.**

კრ. 649 7—2.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით

წყლულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურ
ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელ
ბით. ტფილისი, გოლოვინის ქ. № 20.

(1252—25-

„ზარია ვოსტოკას" სტამბა. კრუზენშტეინის ქ. № 4.